

ᲐᲡᲐᲛᲗᲠᲝ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

№ 7 (263). ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-15 ᲬᲔᲚᲘ

1971 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ. ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ; ᲥᲕᲔᲕᲘᲗ — ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲤᲝᲠᲣᲛᲖᲔ



ᲐᲮᲚᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲤᲐᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲐᲮᲚᲐ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ, ᲣᲙᲕᲔ ᲐᲗᲘ ᲓᲦᲔᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓ ᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲗᲐ ᲨᲔᲐᲯᲐᲛᲝᲜ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲝᲜ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲓᲐᲡᲐᲮᲝᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲛᲐ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲛ.

ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ 4963 ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘᲓᲐᲜ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲐ 4949 ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 90 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ 101 ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ 25 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲙᲝ ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ, ᲘᲒᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲝᲗᲐᲪ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲕᲘᲠᲢᲣᲝᲖᲣᲚ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲗ, ᲪᲔᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲝᲜᲝᲠᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲐᲭᲛᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ 31 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲑᲣᲠᲯᲖᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ — ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ **ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.**

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲝᲛᲮᲡᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ. ᲐᲛᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲡᲘᲜᲓᲘᲡᲔᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ. ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ, ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲬᲧᲝᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ, ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲐᲪᲘᲚᲝᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲣᲛᲝᲑᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲪᲜᲝ — ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲗ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲣᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲗᲐᲜᲑᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲔᲣᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲣᲬᲧᲝᲡ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲐᲜ — ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲖᲔ — ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲭᲝᲜᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲮᲣᲗᲘ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲞᲝᲥᲐ

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲮᲝ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ: ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲞᲝᲥᲐ“ ᲣᲬᲝᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲓᲜᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ: ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲜᲔᲜ ᲐᲡᲔᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲐᲓ! ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ. ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ).

კომუნისტთა უმაღლეს ფორუმზე

(დასასრული)

წლებში მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი თვეში 70 მანეთამდე გაიზრდება, საერთოდ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი ამ ხუთწლედში 146-149 მანეთს მიაღწევს. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კი — 98 მანეთს.

დიდი სახსრები მოხმარდება სამედიცინო მომსახურების შემდგომ განვითარებას. მოზარდი თაობის განათლებასა და აღზრდას. გაუმჯობესდება მრავალშვილიანი და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების, წარმოებაში მომუშავე ქალთა, პენსიონერთა, მოსწავლეთა ყოფაცხოვრების პირობები.

გადიდდება მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მოხუცებულობის პენსიების მინიმალური ოდენობა. მეცხრე ხუთწლედში საბინაო პირობებს გაიუმჯობესებს 60 მილიონი კაცი.

კეთილდღეობის საფუძველი

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების ტემპები ბევრადაა დამოკიდებული ინდუსტრიის თუ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე. მომავალ ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზრდება ტრილიონ კილოვატ-საათამდე და მეტად, ნავთობის მოპოვება 480-500 მილიონ ტონამდე, გაზისა — 300-320 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ფოლადის გამოდნობა გადიდდება 142-150 მილიონ ტონამდე, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქცია — 1,7-ჯერ.

სოფლის მშრომელებმა მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება უნდა გაზარდონ 195 მილიონ ტონამდე. ხორცის საშუალო წლიურმა წარმოებამ ხუთწლედის მანძილზე უნდა გადააჭარბოს 14 მილიონ ტონას, რძის წარმოებამ — 92 მილიონ ტონას, კვერცხისა — 46 მილიარდ ცალს.

გაფართოვდება სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოება, განვითარდება ვაჭრობა, გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მიღწეული იქნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, მეცნიერების წარმოებასთან შეერთებით, მთელი რეზერვების უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე.

თავის მრავალ მოხსენებაში ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და პარტიის ამოცანებს, შინაპარტიული ცხოვრებისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარების საკითხებს.

ჩვენ ვიცით, თქვა თავისი სიტყვის დასასრულ ამხანაგმა ბრეჟნევმა, რომ მივაღწევთ ყოველივეს, რასაც ვესწრაფვით, წარმატებით გადავჭრით ამოცანებს, რომლებსაც ვისახავთ.

ქართველი ხალხის პატაკი

31 მარტს ყრილობა შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვას.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან პარტიისა და ხალხის წარგზავნილები — მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები...

31 მარტს ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ამხანაგი ვასილ მჟავანაძე.

როგორი შრომითი გამარჯვებებით შეხვდა საბჭოთა საქართველო ყრილობას, როგორ ემზადება იგი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის იუბილეს გადასახდელად, რა ამოცანებს ისახავს მომავლისათვის — აი რა იყო ვასილ მჟავანაძის მოხსენების მთავარი თემა. ყრილობის მონაწილეები კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ წვენს რესპუბლიკაში ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა, რომ მერვე ხუთწლედში მშენებლობაზე დაბანდებული იყო 5 მილიარდი მანეთი, საკმაოდ მაღალი ტემპით გადაეცა 9 მილიონამდე კვადრატული საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, მეჩაიეებმა დაამზადეს 1 მილიონ 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მევენახეებმა — 1 მილიონ 478 ათასი ტონა ყურძენი, ბაღებსა და პლანტაციებში მოიკრიფა 712 ათასი ტონა ხილი, 207 ათასი ტონა ციტრუსები...

შემდეგ ვასილ მჟავანაძე თავის მოხსენებაში შეეხო ქართული მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს — შეიქმნა დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, რომელთაგან საკავშიროების მიენიჭათ ლენინური, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიები.

რაც შეეხება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს, რომლის აღსანიშნავად ახლა ვემზადებით, იგი ჩვენი გამარჯვებების, ჩვენი წინსვლის დემონსტრირება იქნებაო, თქვა ორატორმა და იქვე მოიყვანა მაგალითები — საბჭოთა საქართველოში გიგანტური ტემპებით იზრდებოდა და იზრდება ენერგეტიკული ბაზა, არნახულად გადიდდა სამრეწველო წარმოება, ეფექტიანად ვიყენებთ ჭიათურის მარგანეცის საბადოებსა და ტყვარჩელის მაღაროებს. ახლა საქართველო აწარმოებს ელმავლებსა და თვითმფრინავებს, ავტომობილებსა და წყალქვეშაფრთიან კატარღებს, საანგარიშო-გამოსათვლელ მანქანებსა და ზუსტ ხელსაწყოებს, ფოლადსა და ნაგლინს, ლითონდასამუშავებელ ჩარხებსა და მსოფლიოში პირველ ჩაისსაკრეფ მანქანებს, მინერალურ სასუქებსა და ქიმიურ ბოჭკოებს...

სიტყვის დასასრულს ამხანაგმა ვასილ მჟავანაძემ აღუთქვა ყრილობას, რომ ქართველი ხალხი პირნათლად შეასრულებს მეცხრე ხუთწლედის ამოცანებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები 1971-1975 წლებში სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობას გაადიდებენ 39-42 პროცენტით, გამოიმუშავებენ 15,5 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, რომ ჩარხმშენებლობა და საინსტრუმენტო მრეწველობა გაიზრდება 1,8-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება — 2,2-ჯერ.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა კი 43 პროცენტით გაიზრდება.

23 პროცენტით გადიდდება სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 70 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, დაშრება 50 ათასი ჰექტარი გადამეტტენიანებული მიწები. აშენდება ახალი საავტომობილო გზები, ხიდები, სკოლები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, გაფართოვდება საკურორტო ქსელი.

გაგრძელდება და გაფართოვდება მეცნიერული მუშაობა გამოთვლითი მათემატიკის, ბირთვული ფიზიკის, კიბერნეტიკის, ბიოლოგიისა და ტექნიკის მთელ რიგ ახალ პროგრესულ დარგებში. აყვავდება ქართული ხელოვნება და ლიტერატურა...

მეცხრე ხუთწლედი

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძალების განმტკიცებაში. აი რატომ გამოიწვია ყრილობის დელეგატთა ასე დიდი ინტერესი ამხანაგ ალექსი კოსიგინის მოხსენებამ — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერვე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულება მყარ საფუძველს იძლევა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისათვის, სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალი ტემპების შენარჩუნებისათვის.

ხუთწლედის ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წარმოების, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ზრდის მაღალი ტემპები და პროპორციული განვითარება, მნიშვნელოვნად ავამაღლოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ეფექტიანობა, გავადიდოთ ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ხუთწლედში 37-40 პროცენტით, ამასთან მისი მატების სულ ცოტა 80 პროცენტი მივიღოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპები, მეცნიერული კვლევის შედეგების წარმოებაში დანერგვის გზით. ფართო მაშტაბებით განვახორციელოთ ხელით შრომის შეცვლა მანქანური შრომით, უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის დარგობრივი და შიდასადარგო სტრუქტურის სრულყოფა.

თანმიმდევრულად ავამაღლოთ მშრომელთა განათლების და კვალიფიკაციის დონე, დავამთავროთ გადასვლა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე, განვახორციელოთ საჭირო ზომები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და მუშების მომზადებისა და კადრების გადამზადებისათვის.

გავადიდოთ ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 42-46 პროცენტით.

ელექტროენერგიის წარმოება ავიყვანოთ 1030-1070 მილიარდ კილოვატსაათამდე.



ვასილ მჟავანაძე (შუაში), ბივი ჯავახიშვილი და ალექსი ინაური სკკპ XXIV ყრილობაზე საქართველოდან წარგზავნილ დელეგატებს შორის.

1975 წელს ნავთობის მოპოვება გავადიდოთ 480-500 მილიონ ტონამდე და გაზისა 300-320 მილიარდ კუბურ მეტრამდე.

ნავთობგადამმუშავებელ მრეწველობაში პროდუქციის გამოშვება გავადიდოთ 1,5-ჯერ.

ქვანახშირის მოპოვება 1975 წელს ავიყვანოთ 685-695 მილიონ ტონამდე.

ფოლადის გამოდნობა 1975 წელს ავიყვანოთ 142-150 მილიონ ტონამდე და მზა ნაგლინისა — 101-105 მილიონ ტონამდე.

ფერად მეტალურგიაში პროდუქციის გამოშვება გავზარდოთ 1,4-ჯერ.

ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება 1,7-ჯერ.

მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში ხუთწლედის მანძილზე პროდუქციის გამოშვება გავზარდოთ 1,7-ჯერ.

მსუბუქ მრეწველობაში გავადიდოთ პროდუქციის წარმოება 35-40 პროცენტით.

უზრუნველვყოთ ყველგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა.

მარცვლეულის საშუალო წლიური საერთო მოსავალი ავიყვანოთ 195 მილიონ ტონამდე.

1975 წელს გავწარმოოთ 7,0-7,2 მილიონი ტონა ხამი ბამბა.

უზრუნველვყოთ მეცხოველეობის შემდგომი განვითარება.

ავიყვანოთ სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მოწოდება 1975 წელს 72 მილიონ ტონამდე.

რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გავადიდოთ 22 პროცენტით.

გავადიდოთ საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1,4-ჯერ.

უზრუნველვყოთ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ზრდა 1,6-ჯერ.

ხუთწლედის მაძილზე სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდება გადიდდეს 36-40 პროცენტით.

სრულვყოთ შრომის ანაზღაურება.

გავაფართოოთ მუშაობა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის.

გავაუმჯობესოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ავიყვანოთ საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა 1975 წელს 3 მილიონამდე.

განვახორციელოთ სახალხო განათლებისა და სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარება.

საბჭოთა ხალხს სჯერა თავისი პარტიისა. ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, არათუ წარმატებით შეასრულონ, არამედ გადაჭარბებითაც გაანაღდონ ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, რათა ადამიანი იყოს ბედნიერი, მისი ცხოვრება გახდეს კიდევ უფრო ლამაზი...

• • •

ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან სიტყვები წარმოთქვეს: ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლე ზუანმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ჟორჟ მარშეიმ, იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ენრიკო ბერლინგუერმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გუსტავ ჰუსაკმა, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ნგუენ ვან ხიეუმა, ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა და სხვებმა.

ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაში მონაწილეობა მათ დიდ სიხარულს ანიჭებს, რადგანაც სწორედ საბჭოთა კომუნისტები, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ბმრ ჰოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, — არიან ცხოვრების ავანგარდში და მას სილამაზესა და იმ თვისებებს ანიჭებენ, რომლებიც დღემდე მხოლოდ პოეზიასა და სიმღერას ახასიათებდა.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება

დიდი ინტერესი

სკკპ XXIV ყრილობა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ინფორმაციები ყრილობის მუშაობის შესახებ იბეჭდება კონტინენტის გაზეთების პირველ გვერდზე.

საფრანგეთი. გაზეთი „ლუმანიტე“. ისინი, ვისაც წილად ხვდა პატივი ყოფილიყო 30 მარტს კრემლის ყრილობათა სასახლეში, ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენის მოწმენი გახდნენ. ის, რომ ყრილობას ესწრება 90 ქვეყნის 101 დელეგაცია, მოწმობს სოციალიზმის წარმატებებს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის გაძლიერებასა და ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წვლილის აღიარებას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. კაიროს პრესა ფართოდ გამოეხმაურა ლეონიდ ბრეჟნევის მოხსენებას, მიაჩნია, რომ იგი სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ახალი დადასტურებაა, რომელიც მიზნად ისახავს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების მშვიდობიან მოწესრიგებას.

ირანი. ჰაური პრესა თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ლეონიდ ბრეჟნევის მოხსენების შინაარსს. გაზეთი „შეიხანი“ მოხსენებას უაღრესად დიდმნიშვნელოვანს უწოდებს.

ინდოეთი. „ბრეჟნევი სახავს მშვიდობის გეგმას“ — ასეთი სათაურით დელის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდეს ცნობები სკკპ XXIV ყრილობის მუშაობის შესახებ. „საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კონსტრუქციულ გეგმას“ უწოდებს გაზეთი „პეტრიოტი“ ბრეჟნევის მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას.

იუგოსლავია. „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა წამოაყენა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების ექვსი პრინციპი“, — ასეთი სათაურებით გაზეთებმა „პოლიტიკა ექსპრესმა“ და „ვეჩერნე ნოვოსტიმ“ გამოაქვეყნეს ინფორმაცია ლეონიდ ბრეჟნევის მოხსენების შესახებ.

იაპონია. სკკპ XXIV ყრილობისადმი მიძღვნილ მასალებში იაპონიის გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას. ძირითადი მომენტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა, რომელიც ლეონიდ ბრეჟნევმა გააკეთა, წერს გაზეთი „ასაჰი“, არის მშვიდობის განმტკიცების მტკიცედ წამოყენებული კურსი.

ამერიკის შეერთებული შტატები. „ვაშინგტონ პოსტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ბრეჟნევის მოხსენების საგარეოპოლიტიკურ ნაწილში მთავარი ნოტა იყო დამაჯერებლობა“. გაზეთის აზრით, ეს გამოხატავს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის წარმატებებს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. გაზეთი ბაზას უსვამს „ზუსტ წინადადებებს განიარაღების შესახებ, რომლებიც საბჭოთა კომპარტიის ხელმძღვანელმა წამოაყენა პარტიის ყრილობაზე“ და მოუწოდებს ნიქსონის მთავრობას გაითვალისწინოს საბჭოთა კავშირის ინიციატივა.

ინგლისი. ამ განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ლეონიდ ბრეჟნევის მოხსენებაში წამოყენებული წინადადება ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის შესახებ ატომური განიარაღების პრობლემების განსახილველად. ლონდონის უყველა წამყვანი გაზეთი აქცენტებს ცნობებს იმის შესახებ, რომ ყრილობაზე გამოდიან კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები. ბურუჟუაზიული პრესა უხალისოდ აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას ხავსებით მხარს უჭერენ მომძე პარტიები და, რომ ყრილობა შეკავშირებისა და ერთსულოვნების ვითარებაში მიმდინარეობს.

წიგნის თარო

საიუბილეოდ

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარედაქციო – საგამომცემლო განყოფილება საიუბილეოდ ამზადებს ალბომს — „ქართული თეატრი“. იგი ჩვენი თეატრის ისტორიის დოკუმენტური და დასურათხატებული მასალის თავმოყრის პირველი ცდაა. მასალა განლაგდება ქრონოლოგიურად და გვიჩვენებს ქართული თეატრის განვითარების სრულ გზას — ხალხური საწყისებიდან დღემდე.

ალბომი გაიხსნება სარედაქციო წერილით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამის გარდა, ინგლისურ ენაზე დაერთვის ვრცელი შემაჯამებელი წერილი ქართული თეატრის ისტორიის შესახებ.

„ტოტუს ჰომოს“ ფურცლებზე

ქილანის ფსიქო-სინთეზური მეცნიერების ინსტიტუტმა თავის ჟურნალ „ტოტუს ჰომოს“ (Totus Homo) მესამე ნომერში (1970 წელი) გამოაქვეყნა აკადემიკოს ავლაბი ზურაბაშვილის წერილი—„Totus Homo და პერსონოლოგიისა და პათოპერსონოლოგიის პრობლემები“ (ინგლისურ ენაზე).

ეს ჟურნალი დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა. გამოვიდა მხოლოდ სამი ნომერი. მისი მიზანია დაამტკიცოს, რომ მეცნიერებაში არ კმარა ანალიზური კვლევა, საჭიროა კვლევის სინთეზური მეთოდი, ეს იგი ადამიანის შესწავლა ერთ მთლიანობაში.

ჟურნალს იტალიელი პროფესორი სან-ანჯელ ანტონიო გამოსცემს. „ტოტუს ჰომოს“ რედაქციაში მოღვაწეობენ მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები. და აი ასეთი ჟურნალის უკვე მესამე ნომერში საკმაოდ ვრცელი ადგილი დაეთმო ჩვენი თანამემამულის გამოსვლას.

წიგნი ხელოვნების ისტორიაზე

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოაქვეყნა აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის „ხელოვნების ისტორიის საკითხების“ პირველი ტომი რუსულ ენაზე. მალე მკითხველი მეორე ტომსაც მიიღებს. მათში თავმოყრილია ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული და ზოგიერთი გამოუქვეყნებელი მასალა ხელოვნების საკითხებზე.

პირველი ტომი მთლიანად დაეთმო შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებას, არქიტექტურას, დარბაზებს, ქრისტიანული ძეგლების საწყის ფორმებს... შენიშვნებში გამახვილებულია ყურადღება მეცნიერებაში აქამდე უცნობ მასალებზე.

წიგნი უხვად არის დასურათხატებული, ერთვის ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

27 წელი მოგზაურობაში...

გამოჩენილმა ქართველმა მოგზაურმა რაფიელ დანიბეგაშვილმა 27 წლის განმავლობაში ხუთჯერ იმოგზაურა აზიის ქვეყნებში, კერძოდ, ინდოეთში, და დაწერა ფრიად საინტერესო და შინაარსიანი ნაშრომი — „ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში“, რომელიც პირველად 1815 წელს რუსულ ენაზე გამოიცა მოსკოვში. მას შემდეგ ეს ნაშრომი კიდევ ოთხჯერ გამოქვეყნდა.

ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დანიბეგაშვილის მოგზაურობის შესახებ მკითხველს მიაწოდა გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გრიგოლ ზარდალიშვილის წიგნი — „ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში“. ეს გამოცემა არსებითად განსხვავდება წინა გამოცემებისაგან, სახელდობრ: ხელახლა ითარგმნა „მოგზაურობის“ ტექსტი 1815 წლის გამოცემიდან, მასში შეტანილია ზოგიერთი შესწორება, დაემატა მეოთხე და მეხუთე მოგზაურობათა ანგარიშები, აგრეთვე მეფე ერეკლე II-ის მიერ შამირ-აღასათვის ბოძებული თავადობის სიგელი, 1786 წლის 22 მარტით დათარიღებული. არსებითად შეიცვალა ტექსტის კომენტარებიც.

„მოგზაურობის“ თარგმანი, წინასიტყვაობა, შენიშვნები, უახლესი საარქივო საბუთები, აგრეთვე 1968 წელს ინდოეთში მოპოვებული მასალები, ფოტოილუსტრაციები და რუკები პროფესორ გრიგოლ ზარდალიშვილს ეკუთვნის.

მოსკოვში — ქართველ მხატვარზე...

მოსკოვში „სოვეტსკი სუდოჟნიკმა“ გამოსცა ვანსლოვის ვრცელი მონოგრაფია ჩვენს თანამემამულეზე, მხატვარ სოლიკო (სიმონ) ვირსალაძეზე. ავტორი საინტერესოდ გადმოგვცემს გამოჩენილი საბჭოთა თეატრალური მხატვრის შემოქმედებით ცხოვრებას.

— ყოველივე, რაც სოლიკო ვირსალაძემ შექმნა, — ნათქვამია მონოგრაფიის დასასრულს, — დიდი შემოქმედებითი პროლოგია, რაც კიდევ ბევრ საინტერესოსა და ჯადოქრულს გვპირდება.

წიგნს დართული აქვს რეზიუმე ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

„შავი მუშამბა“

ახალი სათაურით გამომცემლობა „ნაკადულმა“ მკითხველებს მიაწოდა შალვა ამისულაშვილის პატარა წიგნი, რომელიც ლამაზად მოგვითხრობს ნიკო ფიროსმანაშვილის უღიმღამო ცხოვრებაზე, ამ უბედო, მაგრამ უბადლო მხატვარზე, იმაზე, თუ შავ მუშამბაზე ფერების თამაშით როგორ იქმნებოდა საქვეყნოდ აღიარებული მისი „მეეზოვე“, „წითელპერანგა მებადური“, „ქორწილი ქახეთში“, „მარგარიტა“, „თეთრი დათვი ბელებით“, „დაჭრილი ირემი“, „პატარა კინტო“, „ჭირაფი“, „დათვი მთვარიან ღამეში“ და მრავალი სხვა.

წიგნის ფურცლებზე შეხვდებით ილია და კირიონ ზდანევიჩებს, დიმიტრი შევარდნაძეს, ლადო გუდიაშვილს, გიგო ზაზიაშვილს, მათ, ვინც შეგვინახეს ფიროსმანის ფერწერული ხელოვნების ისეთი ნიმუშები, რომლებიც საქართველოსთან ერთად იცოცხლებენ მარადჟამს.


უნგრულ ენაზე

ბევრი ჭართული ლიტერატურული ნაწარმოები დიდ ინტერესს იწვევს საზღვარგარეთელ მკითხველებში.

ცნობილი უნგრელი პოეტი შანდორ ვერეში, რომელმაც თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, შეუდგა ქართული პოეზიის ანთოლოგიის შედგენას. მას დიდ დახმარებას უწევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები.

ბუკარედზე მუშაობს ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი ჯუმბერ გაგნიძე.

ანთოლოგიაში შევა მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები მეათე საუკუნიდან დღემდე.



ჩვენი ერის საამაყო შვილს, ფუნჯის ჯადოქარს, საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს 75 წელი შეუსრულდა.

მილოცვებს, რომლებიც ამ დღეებში ბატონმა ლადომ მიიღო, ჩვენც ვუერთდებით. გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია, მისი მკითხველები დიდ მხატვარს, კეთილშობილ ადამიანს, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერ შემოქმედებით ცხოვრებას უსურვებენ.

ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგია დიდ დახმარებას გვიწევს ყოველ საქმიანობაში. საამაყო მხატვრის კეთილი ვა, ბრძნული აზრი, არაერთ სასიკეთო დასდებია საფუძვლად. აი ახლაც ბ ლადო სიამოვნებით დაგვთანხმდა გამოგ ნოთ მოგონებანი, რომელშიც სამხრეთ თველოში მისი და ექვთიმე თაყაიშვილი ზაურობაა აღწერილი.

ამ ორი სახელოვანი ადამიანის თითო ნაბიჯი ხომ ასე ძვირფასია ჩვენთვის.

მშვენიერების ძყვეობაში

სამხრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად

უკლებლივ ბედნიერებად ვთვლი, რომ მე წილად მხვდა წევრობა იმ ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული ექსპედიციისა, რომელსაც საკუთარი ინიციატივით სათავეში ჩაუდგა დიდად ცნობილი, ჩვენი ღვაწლმოსილი, აწ განსვენებული მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი. სრული დარწმუნებით შემიძლია აღვნიშნო, რომ თუ არა დიდებული მეცნიერის ასეთი თავგამოდება და მეცნიერული უდრეკობა, დღეს ჩვენ არ გვექნებოდა ზუსტი დათარიღება, ყოველმხრივი აღწერა, დეტალური მასალა იმათი ბრწყინვალე ქართული ძეგლებისა, როგორიც არის იქვე, ეშმანი, სახეული, ბანა და სხვა, რომლებიც თურქეთის მიწა-წყალზე მდებარეობენ... და მათი მხოლოდ ნიმუშები, ფრესკების პირები, აღწერანი და დეტალები, ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, „ერთ მუზეუმს ეყოფოდა!“

1917 წლის ექსპედიციამ, რომლის წევრები გახლდით: ინჟინერ-არქიტექტორი ანატოლ კალგინი, მხატვრები დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჭიაურელი, პოეტი ილია ზდანევიჩი და მე, ბატონ ექვთიმეს უმეცარი ხელმძღვანელობით, გადმოვლეთ ფრესკების პირები, ტაძრების გეგმები და ჭრილების ნახატები.

ყველაფერი ჩამოვიტანეთ თბილისში და დღეს მუზეუმის საკუთრებაა.

ექსპედიციამ ზუსტად გაარკვია, დაადგინა ტაძრების, ეკლესიების, ციხეების სახელწოდებები და ადგილმდებარეობა, რაც აღნიშნულ ექსპედიციამდე უცნობი იყო.

ჩვენ ვმუშაობდით ყარსის, არტაანისა და ოლთისის ვრცელ არეში. აქ მდებარე ძეგლთა შორის არის ჩვენი ნაროთმოძღვრების შედევრებიც — იშხანი, ხახული, ოშკი, ბანა, ოთხთა ეკლესია და პარხალი. ამ დაუღალავი მეცნიერის წყალობით, დაზუსტდა მათი შექმნის თარიღები, დეტალურად გაირკვა მრავალი წარწერა, დადგინდა მოხსენიებულ პირთა ვინაობა და სახელები.

უზომო სიყვარულისა და სიხარულის გრძნობით ვიგონებ ბატონ ექვთიმესთან მუშაობას. ამ დიდად განსწავლული მეცნიერის გული აღსავსე იყო სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, ქართველი ერის შემოქმედებითი ენერგიისა და პოტენციის ძველი კულტურის გამოვლენის სურვილით.

მე და მიხეილ ჭიაურელი დავფოფხვდით ამ ძეგლებზე, მათ ნანგრევთა კედლებზე. იქვე ჩვენს ახლოს იდგა ექვთიმე და გაფაციცებით მოგვძახოდა:

— ყმაწვილებო! კარგად დააცქერდით ქორონიკონებს! თარიღის აღმნიშვნელ ასოებს, ზუსტად ამოიკითხეთ ყოველი მათგანი! — თვითონაც, როგორც „ქორონიკონი“ იდგა, ჭოგრიტით ათვალიერებდა ამ ნიშნებს და ხმამაღლა გვეუბნებოდა: — მიშა, ლადო, ახლოა მიდით წარწერებთან, ხათითოდ მიკარნახეთ! — ჩვენ წარწერებთან უფრო ახლო, უფრო გაბედულად მივეფოფხვიდით, ხმამაღლა ვუმეორებდით ყოველ ნიშანს და ვერ წარმოიდგენთ, როგორ აღფრთოვანდებოდა, როცა ჩვენი ნათქვამი მის მიერ ნავარაუდევს დაემთხვეოდა.

მას საოცარი მეცნიერული წვდომა ჰქონდა, ძველი წარწერების წაკითხვის შეუდარებელი უნარი. უმრავლესობას იქვე, გადმოღებისთანავე კითხულობდა, ზოგს, უფრო რთულს, სადგომში მისვლისას. ჩვენ, ახალგაზრდები, ვისვენებდით, იგი კი უჯდა სქემებს, ფოტოებს, ნახატებს და არც დარჩენია ნაპოვნი რამ ამოუკითხავი.

თუ რაიმე ახალს, მნიშვნელოვანს ამოიკითხავდა ძეგლზე, — აქ კი ყველაფერი ახალი იყო, — დღისით იქნებოდა თუ ღამით, დასვენებისას, ახალგაზრდულად წამოვარდებოდა, ქაღალდს დროშასავით აფრიალებდა, აღფრთოვანებით შესძახებდა: — აღმოჩენაა! ახალი აღმოჩენა!

ჩვენც ვიზიარებდით სიხარულს, ვიცოდით, ჩვენი ისტორიის ახალი, უცნობი ფურცელი იშლებოდა, ჩვენც გვედებოდა მისი აღფრთოვანება: აღარც ჩვენ ვიზოგავდით თავს. ვცოცავდით კლდეებსა და დანგრეულ კედლებზე, ვიღებდით, ვიწერდით, ვხატავდით, ვეგულისხმებოდით ყველაზე უფრო „ექვთიმეს სამყაროს“!

მცოცავთა შორის ყველაზე „აკრობატი“ ილია ზდანევიჩი გამოდგა: ყველაზე მუყაითი, მუდამ დაუღალავი დიმიტრი შევარდნაძე იყო, ექსპედიციის მთავარი მხატვარი, კედლის მხატვრობის კარგი მცოდნე, მშვენიერი მოქართულე და ქართული ფრესკების დიდი მოტრფიალე.

ექსპედიციაში ჩემი წაყვანაც სწორედ დიმიტრი შევარდნაძის მეშვეობით მოხდა.

ყველაზე ხალისიანი და მუდამ დაუცხრომელი ხომ მიხეილ ჭიაურელი იყო. მახსოვს ერთხელ, ჩუმად მინარეთზე აძვრა და „მრეკლეს“ უდროო დროს „ალოცვინა“.

ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვეს იქ ნანახმა ძეგლებმაც და ადამიანებმაც. თითქმის ყოველ ხუროთმოძღვრულ დიდ ნაშთთან გვხვდებოდნენ გაწამებული ადამიანები, ქართულად შემოგვხვდნენ და შემოგვტირდნენ.

ერთ წყაროსთან ბიბლიური წლისა და სახის მხცოვანი უძრავად იწვა. სიბერისაგან ფეხზე ვეღარ დგებოდა, მხოლოდ იცრემლებოდა და ჩურჩულებდა:

— წყალი ივლის, ივლის... თავის ნაგუბარში ჩადგება!

ჩვენ კარგად ვიგრძენით, რას გულისხმობდა მხცოვანი...

ერთიც შევამჩნიე. სამხრეთელ ქართველებს ძველი ტაძრების, ქართული კულტურის კერების გავლენა, მიუხედავად სრული გამაპმადიანებისა, ახლაც ეტყობოდათ. კრძლვა და რიდი მაინც ჰქონდათ მამაპაპური სალოცავებ ქალებიც მაინც და მაინც თავს არ უდებდნენ ჩადრს. ვ ევთ და ყველამ ადვილად მოიხადა, სახე დაგვანახა, ს რათიც კი გადაგვაღებინა...

ძეგლთა უხვ სამკაულებს შორის განსაკუთრებით ჩამრჩა სახულში ნანახი, ქვაში ტვიფრული სიმბოლო — ქართული ფასკუნჯი, მუდმივი აღორძინების იდეა.

ეს კლასიკური ნიმუში ნოტრ-დამის ქიმერების შემოქმედსაც შეეხარებინა!

საერთოდ ჩუქურთმების, შემკული სვეტებისა და კვარცხლბეკების, პორტალიებების, ფერად-სხივური წყობისა და კამარების მთელი ქართული შემოქმედური გულუხვობა არის წარმოდგენილი.

მაგონდება ერთი შემთხვევაც. ოშკში წმინდანების ჰორელიეფები ვნახეთ. ერთ-ერთს თავი აკლდა.

ქვევით, კედლის ძირში, ნამსხვრევების გორა ეყარა. დავძებნე და წმინდანის თავს მივაგენი, მივაზომე და სწორად ჩავდე. ექვთიმე თაყაიშვილმა გულმხურვალედ გადამკოცნა.

— მთლიანობის აღდგენა უძნელესი და უკეთილშობილესი შემოქმედებაა! შენ თითქოს იმედი გამომთქვი!

ჩემი მოხვედრა ექსპედიციაში განსაზღვრა იმ ლტოლვა რომელიც მეც სიყრმიდან მამოქმედებდა — ყველაგან ქარ

(დასასრული მე-7 გვერდზე).

წიგნის თარო

პირველი აკადემიური გამოცემა

ხოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა დიდ ეროვნულ საქმეს მოჰკიდა ხელი. აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებასთან“ ერთად შეუდგა მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური პოეზიის ხრული კრებულის გამოცემას. ეს იქნება ხალხური საუნჯის პირველი აკადემიური რვატომიანი გამოცემა. თითოეული ტომი შედგება ძირითადი ტექსტების, ვარიანტების, შენიშვნების, ბიბლიოგრაფიის, ჟანრობრივი გამოკვლევისა და ინდექსებისაგან 35-40 თაბახის მოცულობით.

I ტომი შეიცავს მითოლოგიურ ლექსებს, მასში შესულია მეგრული და სვანური ფოლკლორის სათანადო ნიმუშები.

II ტომში წარმოდგენილია საგმირო ლექსები, ისტორიზმები, გმირის იდეალი.

III ტომში შევა საწესჩვეულებო ლექსები, საახალწლო, ალილო, ჭონა, ხაიდგომო, მარხვა, ბერიკაობა, ოჩხარი, მოსაგონარი, საქორწინო პოეზია და სხვა მისთანანი.

სატრფიალო ლექსებს, ქებას, ნატვრას, სამოჯინურო გამაირებას მკითხველი გაეცნობა IV ტომში.

V ტომი მთლიანად დაეთმობა საყოფაცხოვრებო ლექსებს. აქ უხვად იქნება წარმოდგენილი გალექსება, კაფია, შაირი, წუთისოფელი, სოციალური მოტივები, საოჯახო და საბავშვო ლექსები.

VI ტომი შეივსება ისტორიული ლექსებით.

VII ტომში დაიბეჭდება სამეურნეო და შრომის ლექსები. ბოლო, VIII ტომი კი დაეთმობა ხალხური შემოქმედების თანამედროვე ნაწარმოებებს.

პირველი ორი ტომი უკვე გადაცემულია სტამბაში და წელიწადის დამლევს მათ მიიღებენ ხელმომწერნი.

გმირის ნაკვალევზე

ისინი თექვსმეტნი იყვნენ — ცხრა იტალიელი და შვიდი ქართველი. რაზმს ედო დელგრატო მეთაურობდა. ფორე მის თანაშემწედ ითვლებოდა.

დილით ადრე, 1944 წლის 3 დეკემბერს, პარტიზანები ძალლების ყეფამ გააღვიძა. ისინი გერმანელთა ჭარბი ძალების მიერ ალყაშემორტყმულნი აღმოჩნდნენ...

ჩვენ ვნახეთ იმ დღევანდელი ამბების უშუალო მონაწილე, ერეს იტალიელი თანამებრძოლი მარიო ძინონი, იგი ამჟამად პენსიონერია და იქვე მახლობლად, სოფელ კოლაცაში ცხოვრობს.

— წინააღმდეგობას თითქოს აზრი არ ჰქონდა, — გვიყვება ის. — ყველანი განწირულნი ვიყავით. და მაინც გადავწყვიტეთ თავი დაგვეცვა, ბოლომდე ვებრძოლა. ფორეს სიმამაცე ყოველთვის გვაცვიფრებდა, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებით გამოირჩეოდა. მართლაც რომ ლომივით იბრძოდა. გულხელდაკრეფილნი არც სხვები ვიყავით — გამეტებით ვუშენდით მტერს. შემდეგ ფორე დაიჭრა. დაჭრილები სხვებიც იყვნენ. გერმანელები კი თანდათანობით ახლო მოიწევდნენ და რაზმის მეთაურის გაცემას მოითხოვდნენ.

ბოლოს ტყვია-წამალიც შემოგვკლია. ახლა ჩვენი ამოყლეტა ერთ კაცსაც შეეძლო.

კვლავ გაიხმა გერმანელი ოფიცრის ბრძანება — თუ მეთაურს ჩაგვაბარებთ, დანარჩენთ ხიცოცხლეს შეგინარჩუნებთო.

თექვსმეტი კაცის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ერთმანეთს უნუგეშოდ შევყურებდით — ვერც მეთაური და ვერც სხვები ვერ ბედავდნენ გარეთ გასვლას, გამხეცებულ ნაცისტთა პირისპირ წარდგომას.

და აი, როდესაც თითქოს ყველაფერი დამთავრებული იყო, მძიმედ წამოომართა რაზმის უფროსის თანაშემწე ფორე მოსულიშვილი. დაჭრილმა გოლიათმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, მტკიცედ გაემართა კარებისაკენ და როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, გერმანელებს უშიშრად განუცხადა: რაზმის მეთაური მე ვარ. შეგიძლიათ ჩემი ხალხი ჩაიბაროთ, პირადად მე კი თქვენთან ტყვეობას სიკვდილი მირჩევნიაო. ამ სიტყვებთან ერთად რევოლვერი იძრო, უკანასკნელად შესძახა გაუმარჯოს პარტიზანებსო და ბოლო ტყვია საფეთქელში დაიხალა...

ეს იყო გმირობა, ნამდვილი გმირობა. მეთაურის, ამხანაგების სიცოცხლისთვის თავის გაწირვა. სინამდვილეში ფორე არ იყო მეთაური, და ამდენად, არც ვალდებული, ასეთი მსხვერპლი გაეღო. მან ეს შეგნებულად, ნებაყოფლობით გააკეთა და საკუთარი სიცოცხლის ფასად უფრო სიკვდილისაგან იხსნა როგორც მეთაური, ისე რაზმის დანარჩენი წევრები. ამასთან, თავისი მოქმედებით მან გამოხატა ღრმა ზიზღი და სიძულვილი მტრის მიმართ. ფაშისტებს კიდევ ერთხელ დაანახა, რაოდენ მტკიცე და ამაყია თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანის სული. აი რატომ დაიფახა იტალიელმა ხალხმა ახე განსაკუთრებით ქართველი ვაჟკაცის თავდადება, აი რატომ აღიარა იგი ჭეშეინის ეროვნულ გმირად.

(დასასრული. დასაწყისი იხილეთ № 6).



ფორე მოსულიშვილი (შუაში) იტალიელ პარტიზანებთან ერთად.

ცოცხლად დარჩენილი 15 პარტიზანი, 9 იტალიელი და 6 ქართველი, გერმანელებმა ტყვედ წაიყვანეს. ფაშისტები დაინტერესებული იყვნენ იტალიელი პარტიზანებით, ვინაიდან შეეძლოთ ისინი გერმანელ ტყვეებზე გაეცვალათ. ასეც მოიქცნენ: სულ რამდენიმე კვირის შემდეგ ფორეს იტალიელი მეგობრები პარტიზანულ რაზმებს დაუბრუნდნენ. ედო დელგრატომ, რომლის მაგივრობაც ჩვენმა თანამემამულემ იმ საბედისწერო დღეს იკისრა, კვლავ ჩაიბარა ათასეული, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ თავისი ღრმა პატივისცემა ქართველი ვაჟკაცისადმი იმით გამოხატა, რომ ლეგიონის პოლიტიკური კომისრის ერალდო გასტონეს მხარდაჭერით, ფორე მოსულიშვილი ქვეყნის უმაღლეს ჯილდოზე წარადგინა. მაგრამ, მაშინ ჯერ კიდევ ომის ხანძარი ენთო და საქმე ბოლომდე ვერ მივიდა.

ედო დელგრატო ამჟამად ქალაქ პიზის მახლობლად ცხოვრობს. სამწუხაროდ, მისი ნახვა ვერ შევძელით. ცოცხალი არიან მაშინდელი ტრაგედიის მონაწილე სხვა პარტიზანებიც. მაგალითად, ომენიაში ცხოვრობს ბენტო ფერეტი.

ფორეს თანამებრძოლი ექვსი ქართველის შესახებ, გერმანელებმა იმ დღეს რომ ჩაიგდეს ხელთ, იტალიაში ყოფნისას სამიდო ვერაფერი გავიგეთ. აღარც მათი გვარები ახსოვდათ. ვარაუდობდნენ, რომ ისინი გერმანელებმა დახვრიტეს, ვინაიდან ფაშისტები საბჭოთა ტყვეებს გერმანელ ტყვეებზე არ ცვლიდნენ და, როგორც წესი, სპობდნენ.

მაგრამ, თურმე, ბედს საბოლოოდ არ გაუწირავს ეს ხალხი. საქართველოში დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მათ კვალსაც მივაგენით. აი როგორ მოხდა ეს.

ჩრდილოეთ იტალიიდან წამოსვლის წინადღეს ქალაქ ბორგოსეზიაში, თავის ვილაში მიგვიპატიჟა იტალიის ეროვნული წინააღმდეგობის ერთ-ერთმა ცნობილმა ინიციატორმა და ორგანიზატორმა, გამოჩენილმა პარტიულმა და საზოგადო მოღვაწემ ჩინო მოსკატელიმ. მას საბჭოთა მკითხველები კარგად იცნობენ პიეტრო სეკიასთან ერთად დაწერილი წიგნით — „მონტე როზა მილანში დაეშვა“. ეს კაცი, რომელიც 18 წელიწადს იტალიის პარლამენტის უცვლელი დეპუტატი და სენატორი იყო, ახლა პენსიაზეა. იგი დიდი გატაცებით კრებს მასალებს პარტიზანულ მოძრაობაზე. მის პირად არქივში იმ ჭარიშხლიანი დღეების ამსახველი 22 ათასი საბუთი და ფოტოსურათი ინახება. ცალკე აქვს შედგენილი კარტოთეკები ქართველ პარტიზანებზე, მათ შორის, ფორე მოსულიშვილზეც. მან ჩვენთვის რამდენიმე საინტერესო დოკუმენტის ფოტოპირი გადააღებინა. აქედან ყველაზე ძვირფასია ფორე მოსულიშვილის უკანასკნელი ფოტოსურათი, გმირს ორ პარტიზანთან და ბავშვთან რომ გადაუღია.

ჩინო მოსკატელიმ, სხვა მასალებთან ერთად, ერთი საყურადღებო საბუთიც გადმოგვცა. ეს არის სია 28 ქართველი პარტიზანისა, რომელებიც რემო სერვადეის სახელობის 118-ე დამკვრელი ბრიგადის „პეპინოს“ II ათასეულში იბრძოდნენ. სხვათა შორის, ამ ათასეულში ირიცხებოდა ფორე მოსულიშვილიც. სია მოგვიანებით, ფორეს სიკვდილის შემდეგ არის შედგენილი. მასში სახელის, გვარის, მამის სახელის, დედის სახელისა და გვარის, დაბადების წელისა და ადგილის ჩვენებით არის შეტანილი 17 ქართველი, რომლებიც, როგორც ჩანს, სიის შედგენას პირადად ესწრებოდნენ. ესენი არიან: ნიკოლოზ ირაკლის ძე ვაჩეიშვილი, ჩოხატაურის რაიონის სოფელ იანეულიდან; გიორგი ასტიონის ძე გაგილაძე, ზემო ავჭალიდან; ირალა ტატეს ძე გოგეჭიშვილი, ონის რაიონის სოფელ ღებიდან; გიორგი ვასილის ძე კიკნაძე, ხარაგოულის რაიონის სოფელ საღანძილიდან; ივანე სილოვანის ძე ბარდაველიძე, ჩხარის რაიონის სოფელ სიმონეთიდან; ნიკოლოზ გიორგის ძე დარბიაშვილი, კასპის რაიონის სოფელ ჩოჩეთიდან; დავით ავჭსენტის ძე კარანაძე, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღორეშიდან; შოთა ივანეს ძე ხუჯაძე, ჩხარის რაიონის სოფელ ალისუბნიდან; სოლომონ ვლადიმერის ძე კბილიანიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითიდან; შალიკო სევერიანეს ძე ვაჩეიშვილი, აბაშის რაიონის სოფელ მარნიდან; სიმონ თეოფანეს ძე მაჩიტაძე, ჩხარის რაიონის სოფელ თუზიდან; ლუსიანე თეოფანეს ძე შონია, ხობის რაიონის სოფელ ბიიდან; კალე არტემის ძე ხარჩილავა, ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისიდან; პლატონ თადეს ძე გაბისონია, გეგეჭკორის რაიონის სოფელ გაჰედილიდან; ვახტანგ ზაქარიას ძე ფიცხელაური, გორის რაიონის სოფელ ხურვალეთიდან; ღუღუნი მიხეილის ძე დემურია, გალიდან; ნიკოლოზ ტიმოთეს ძე კვარაცხელია, ჩხოროწყუს რაიონიდან.

ჩვენთვის ცნობილია, რომ აღნიშნულ პირთა დიდი ნაწილი მშვიდობით დაბრუნდა საქართველოში და რომ ისინი ახლაც ბედნიერად და ჯანმრთელად ცხოვრობენ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში.

ამავე სიაში დამატებით შეუტანიათ კიდევ თერთმეტი ქართველი, რომლებიც ადრე იბრძოდნენ ამ ათასეულში, მაგრამ სიის შედგენის დროს უკვე მათთან აღარ იყვნენ და ამიტომ მათ შესახებ, გვარისა და სახელის გარდა, სხვა მონაცემი აღარ გააჩნდათ. ესენი არიან: ალექსი უავლაშვილი, შაქრო თომაშვილი, კაკო გიძინაშვილი, არშაკ სიკუაშვილი, ბაგრატ ესართია, შალიკო კვირიაშვილი, ასლან ტოტოჩაშვილი, მიშა საყვარელიძე, შალიკო უავლაშვილი, შოთა ბეჭაია და იოსებ მარგიანიძე.

სია მანქანაზეა გადაბეჭდილი, მაგრამ იქვე, გვერდით ვილაცას ხელით მიუწერია — ამ თერთმეტი პარტიზანიდან ნაწილი 1944 წლის 3 დეკემბერს, მოტარონესთან ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდეს გერმანელებმა და სავარაუდოა, რომ დახვრიტესო.

ეს შენიშვნა ომის დასასრულს უნდა იყოს გაკეთებული და, მიუხედავად ამისა, მისთვის დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება: — ვ დეკემბერს მოტარონესთან ხომ ის საბედისწერო ბრძოლა გაიმართა, რომელსაც ფორე მოსულიშვილი შეეწირა!? მაშასადამე შენიშვნაში ლაპარაკია სწორედ ფორეს იმდღევანდელი ბრძოლის თანამონაწილეებზე და ნათელია, რომ ისინი ამ თერთმეტ კაცში უნდა ვეძებოთ. თუ მათგან ერთი მაინც გადარჩა ცოცხალი და მისი პოვნა შევძელით, მაშინ ადვილი დასადგენია დანარჩენთა ვინაობაც.

შევუდექით ძებნას და მალე მივადექით ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას ზაქარია (შაქრო) ნიკოლოზის ძე თომაშვილს (სიაში იგი რიგით მეორეა), კაცს, რომელიც ფორე მოსულიშვილთან ერთად გაიქცა 1944 წლის 8 სექტემბერს გერმანელთა ბანაკიდან და რომელიც ბოლო წუთამდე მასთან ერთად იბრძოდა.

ზაქარიამ მოიგონა იტალიის მიწაზე ფორესთან ერთად გადახდილი არაერთი საბრძოლო ეპიზოდი. — ფორე მართლაც დიდი ვაჟკაცი, არაჩვეულებრივი ბუნებისა და რწმენის ადამიანი იყო. განსაკუთრებული მამაცობისა და გამბედაობისათვის მას ყველა პატივსა სცემდა. მტერზე ყოველთვის პირველი მიდიოდა, ყველაზე მძიმე წუთებში ხსნას მისგან ველოდით. იცოდა, თუ ჩავარდებოდა, გერმანელები მას სასტიკად გაუსწორდებოდნენ. არაერთხელ უთქვამს— მტერს მეორედ ცოცხალი თავით არავითარ შემთხვევაში არ ჩავბარდებიო. ჩვენც კარგად ვიცოდით, რომ გერმანელები საბჭოთა ტყვეებს არ ინდობდნენ და ამიტომ ყოველთვის თვგამეტებით ვიბრძოდით. ალბათ, ამიტომ თუ იყო, რომ ყველაზე მეტი მსხვერპლიც ქართველებზე მოდიოდა.

იმ დღეს რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით...

ფორეს თავგანწირვამ სიცოცხლე შეგვინარჩუნა, მაგრამ იძულებული ვიყავით გერმანელებს დავნებებოდით. ქართველები ექვსნი დავრჩით. სამწუხაროდ, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და მათი გვარები გადამავიწყდა.

მაშინ იტალიიდან ჩამოტანილი თერთმეტი ქართველი პარტიზანის სია ვუჩვენეთ. მასში ზაქარიამ ფორეს გმირობის მოწმე ოთხი კაცის გვარი ამოიკითხა: ბაბრატ ესართია, შალიკო კვირიაშვილი, მიშა საყვარელიძე, შოთა ბეჭაია და იქვე დაუმატა, რომ ამ სიაში იმდღევანდელი ბრძოლის მონაწილე მეექვსე ქართველის — ვლადიმერ ჰეჭიას გვარი არ არისო შეტანილი.

ამგვარად, უკვე ცნობილია ის ექვსი ქართველი პარტიზანი, რომლებიც 1944 წლის 3 დეკემბერს ფორე მოსულიშვილთან ერთად ფაშისტთა ალყაში აღმოჩნდნენ და რომლებიც იმ დღეს მისმა თავგანწირვამ გადაარჩინა.

ახლა საკითხავია, რა ბედი ეწიათ მათ ტყვეობაში?

ზაქარია თომაშვილი იგონებს, რომ გერმანელებმა ისინი, როგორც ქართველები, ისე იტალიელები, თავდაპირველად მახლობელი ქალაქის — ბავენოს ციხეში მოათავსეს. მალე იტალიელები სხვაგან გადაიყვანეს და მათ შესახებ შემდეგ აღარაფერი სმენიათ (ზემოთ უკვე ვთქვით, რომ იტალიელები ფაშისტებმა პარტიზანებს გადაუცვალეს გერმანელ ტყვეებზე), ჯერ გადაწყვეტილი ყოფილა მათი დახვრეტა ბავენოში, მაგრამ შემდეგ გერმანელებს რატომღაც გადაუფიქრიათ და განაჩენის აღსასრულებლად ისინი პროვინციის ცენტრში — ნოვარაში ჩაუყვანიათ. აქ ქართველი პარტიზანები ყოველდღე სიკვდილის მოლოდინში იყვნენ, ორჯერ თუ სამჯერ კიდეც გაიყვანეს დასახვრეტად, მაგრამ რაღაც მოსაზრებით ეს საქმე ყოველთვის შემდეგისათვის გადაჰქონდათ. ერთი მხრივ, სადღაც იმედის ნაპერწკალი გვიღვიოდა, — ამბობს ზაქარია თომაშვილი, — მეორე მხრივ კი ისე გავწამდით, ფორეს ბედს შევნატროდით. ომის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე ქალაქ ვერონაში გადაგვიყვანეს. აქაც სიკვდილის მახვილი ყოველ წუთს უელზე გვჭონდა მობჯენილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ბედისაგან



ქალაქ ბორგო სან-დონინოში ჩამოსული ფორე მოსულიშვილი (შუაში) სიტყვას ამბობს ფორე მოსულიშვილის საფლავზე; მარცხნივ — ბრუნო საკეტი.

მთლად განწირული არ ვყოფილვართ და 1945 წლის აპრილის ერთ მშვენიერ დღეს პარტიზანებმა, ინგლის-ამერიკის ჯარებთან ერთად, სრულიად მოულოდნელად, ჩვენი საკნის კარებიც შემოანგრიეს...

განთავისუფლების შემდეგ მალე ერთმანეთი დავკარგეთ. მე საბჭოთა არმიის რიგებს დავუბრუნდი, სადაც თითქმის კიდევ ერთ წელიწადს ვიმსახურე. შემდეგ მშობლიურ სოფელში ჩამოვედი. მათ შესახებ კი აღარაფერი გამიგიაო — დაამთავრა თხრობა ზაქარია თომაშვილმა.

ამ დღეებში ჩვენ შევხვდით ფორეს გმირობის კიდევ ერთ ქართველ თანამონაწილეს. ეს გახლავთ ვლადიმერ ანდროს ძე ჭეჟია. იგი ზუგდიდში, ინგურის ქალაქის კომბინატში მუშაობს ბრიგადირად.

* * *

ამ სამი კვირის წინათ ედუარდ სიხარულიძემ და მე გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებსა და საქართველოს ტელევიზიის მაყურებლებს ვაუწყეთ, რომ ჩინო მოსკატელიმ ჩვენი მიწის კიდევ ერთი შვილის — მეგონა ღურწკაიას სახელი გაგვაცნო. 1945 წლის 16 მარტს ქართველი პარტიზანი ვაჟკაცურად დაეცა ქალაქ ბორგოსეზიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ახლა აქ უველა სათუთად ინახავს მის ხსოვნას, მოწიწებით წარმოთქვამს მის სახელს. ქალაქის ცენტრში, მარმარილოს დიდ დაფაზე, თავისუფლებისათვის დაცემულ რვა იტალიელთან ერთად, ოქროს ასოებით არის ამოკვეთილი ზუგდიდელი მეგონა ღურწკაიას სახელი, ხოლო გმირის საფლავზე, რომელსაც ბორგოსეზიელები სასოებით უვლიან, არასოდეს ჭკნება ყვავილები.

ჩინო მოსკატელიმ გვიჩვენა ის სახლი, სადაც იმ დღეს გერმანელები გამაგრდნენ, პარტიზანები თურმე ვერაფრით მიუდგნენ მათ. მაშინ მეგონა ღურწკაიამ გადაწყვიტა ზურგიდან მოევლო სახლისათვის და ხელყუმბარებით ამოეწყვიტა ფაშისტები. ჩანაფიქრი ნამდვილად კარგი იყო, მაგრამ მტერი მიუხვდა განზრახვას და როდესაც ვაგზლის ქუჩაზე გადარბოდა, ავტომატების ჯერით დაცხრილეს იგი...

ამ რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში ორი ახალგაზრდა კაცი მოვიდა. ისინი ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის მცხოვრებნი რეზო და ალეკო მეგონას ძე ღურწკაიები აღმოჩნდნენ. მათ აქამდე არაფერი სცოდნიათ მამის შესახებ და მისი ამბავი პირველად ჩვენგან გაიგეს.

— ძალზე პატარები ვიყავით, როდესაც მამა ჯარში გაიწვიეს, მისი სახეც კი არ გვახსოვს — ამბობს მეგონას უფროსი ვაჟი რეზო ღურწკაია. ერთ-ორ წელიწადს, თურმე, ფრონტიდან წერილებს ვიღებდით. გვამხნევებდა — კიდევ ცოტა, დავბრუნდები და არაფერს გაგიჭირვებთო. შემდეგ ბარათებიც შეწყდა და მასზე აღარაფერი გვსმენია. დედა დარდმა და ავადმყოფობამ გადაიყოლა, 1954 წელს გარდაიცვალა. პაპა ივლიანესა და ბებია პასიკოს დიდხანს ეჭირა თვალი გზისკენ, იქნებ ღმერთმა იწიბოს და შვილი დაგვიბრუნდესო. მაგრამ ამაოდ. მათი სიკვდილის შემდეგ ჩვენს ოჯახს ნორა მამიდა უძღვებოდა. ამასობაში ჩვენც წამოვიზარდეთ, შრომაში ჩავებით, დავოჯახდით და მამაჩვენის კერაზე ორი სახლი წამოვჭიმეთ.

ახლა თვითონ ვართ ბედნიერი მამები, თუმცა საკუთარი მამის ბედი ყოველთვის გულს გვიღონებდა.

მართალია, თქვენმა ჩამოტანილმა ცნობამ საბოლოოდ გაგვიწყვიტა მისი ნახვის იმედი, მაგრამ ვამაყობთ სახელოვანი მამით, მისი თავდადებით, ვაუკაცობით. გვინდა მადლობა ვუძღვნათ იტალიელ ხალხს, რომელიც ასე სათუთად ინახავს ჩვენი მამის ხსოვნას, მის საფლავს...

* * *

ჯერ კიდევ რომში გვითხრეს, რომ საბჭოთა საელჩო ერთი კვირის შემდეგ აპირებს გვირგვინებით შეამკოს იტალიის ეროვნული გმირების თედორე პოლეტაევისა და ფორე მოსულიშვილის საფლავებიო. თედორე პოლეტაევი გენუაში, ლიგურიის ზღვის სანაპიროზეა დაკრძალული. ფორე მოსულიშვილი კი იტალიის უკიდურეს ჩრდილოეთში, პატარა ქალაქ მეინეში, მაჯორეს ტბის სანაპიროზე. ეს ქალაქი სულ 8-10 კილომეტრით არის დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც ფორე დაიღუპა. და თუმცა აქამდე რამდენჯერმე შეგვეძლო იქ მისვლა, მაინც გადავწყვიტეთ საელჩოს წარმომადგენლებისათვის დაგვეცადა.

და აი 17 თებერვალს, ზუსტად 12 საათზე, ქალაქ მეინეს მუნიციპალიტეტის წინ თავშეყრილი პროცესია სასაფლაოსკენ დაიძრა. აქ არიან ნოვარის პროვინციის უოფილი პარტიზანები, ფორეს მეთაურები და თანამებრძოლები, ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები... გვარდიელთა ფორმაში გამოწყობილ წესრიგის დამცველთ, რომლებიც პროცესიას წინ მიუძღვიან, ხელში მუნიციპალიტეტისა და პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის მრავალფეროვანი დროშები უჭირავთ.

მალე გმირის საფლავთან მივედით. პატარა მარმარილოს დაფაზე გარკვევით არის ამოკვეთილი — „ფორე მოსულიშვილი. 1916 წ. — 3.12 1944“. ეს საფლავი კეთილ ადამიანებს გმირის დაღუპვის პირველსავე დღეებში გაუკეთებიათ.

წუთიერი დუმილით პატივი ვეცით სწორუპოვარი ვაჟკაცის ხსოვნას. შემდეგ საბჭოთა საელჩოს სამხედრო ატაშე ივანე კაშკოვთან და საელჩოს მრჩეველ გენადი ურანოვთან ერთად დაფნის გვირგვინით შევამკეთ ფორე მოსულიშვილის საფლავი.

იმართება მიტინგი. სიტყვას ამბობს პოლკოვნიკი ივანე კაშკოვი. შემდეგ პარტიზანთა ადგილობრივი ასოციაციის თავმჯდომარე ბრუნო კალეტი („კაპიტანი ბრუნო“) საზოგადოებას მოაგონებს ფორე მოსულიშვილის მიერ ჩადენილი გმირობის მნიშვნელობას, საბჭოთა და, კერძოდ, ქართველი პარტიზანების წვლილს იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ორატორები კვლავ და კვლავ იხსენებენ ჩვენი თანამემამულის თავდადებას.

მიკროფონთან ჩვენც გვიწვევენ. ქართველი ხალხის, გმირის დედისა და ახლობლების სახელით მადლობა გადავუხადეთ იტალიელ მეგობრებს ფორე მოსულიშვილის სახელის ესოდენ დაფასებისათვის, იტალიაში დაცემულ ქართველ პარტიზანთა ხსოვნის უკვდავყოფისათვის. შემდეგ საფლავს სამშობლოდან წაღებული მიწა მოვაბნიეთ.

მეინეს სასაფლაოზე ჩვენ ორი ბოთლი ქართული ღვინო ჩაგვყვა. როდესაც ედუარდ სიხარულიძემ პირველი ჭიქით გმირის შესანდობარი შესვა და სავსე ჭიქა მასპინძელს — ბრუნო კალეტის მიაწოდა, მან თქვა: აღფრთოვანებული ვართ ქართული წეს-ჩვეულებით. უველანი უდიდესი სიამოვნებით შევსვამთ გმირის სამშობლოში დაწურულ ღვინოს, მაგრამ ვაი რომ არ გვეყოფა. ამიტომ, გთხოვთ ცოტა-ცოტა დაგვისხათ, რომ თუნდაც თითო წვეთი უველას გვერგოსო...

უნდა გენახათ, ეს ზღვა ხალხი რა მოთმინებით, გულმოდგინედ და ზუსტად ინაწილებდა ორ ბოთლ ღვინოს, რა მოწიწებით სვამდა გმირის სადღეგრძელოს!

რას არ მივცემდით მაშინ ერთ ჯოკა ქართულ ღვინოში!

მეინეს სასაფლაოდან ორმოცდაათამდე კაცის თანხლებით მეზობელ ქალაქ არონაში გავემგზავრეთ პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის თაოსნობით განზრახულია ფორე მოსულიშვილის საფლავი ამ ქალაქში გადმოიტანონ. არონა საკმაოდ მოზრდილი ქალაქია, სასაფლაოც უფრო კეთილმოწყობილი და კარგია. გარდა ამისა, აქ გაკეთებულია პარტიზანთა საგანგებო მემორიალი, სადაც ფორე მოსულიშვილის ნეშტს დაასვენებენ. მასპინძელთა სიტყვებით, ეს სასაფლაო გმირის ღირსებას უფრო შეშვენის.

* * *

მაჯორეს ტბის გადმა, შვეიცარიის საზღვართან სულ ახლოს, არის ლოტტა, ლამაზი ქალაქი ვერბანია. აქ ერთი პატარა, წითელი აგურით ნაშენ სახლში ჩვენი თანამემამულე ლავრენტი ჯაშარიძე ცხოვრობს თავისი ოჯახით. ლავრენტიმ ჩრდილოეთ იტალიაში ჩასვლის მეორე დღესვე, ომებიანში შეხვედრისას მიგვიწვია თავისთან სტუმრად. მაშინ არ გვეცალა.

რამდენიმე დღის შემდეგ მისმა მეუღლემ ქალბატონმა მარია პერონმა და ქალიშვილმა ჯულიანამ ნოვარაში მოგვაკითხეს მანქანით და სადილად შინ მოგვიპატიჟეს. ნოვარიდან ვერბანიამდე ოთხმოცი კილომეტრია. ეს გზა ერთ საათში დავფარეთ. თითქმის მთელი დღე დავყავით ჯაფარიძეების სტუმართმოყვარე ოჯახში.

აი უკვე ოცდარვა წელიწადია ქართველი კაცი ჩრდილოეთ იტალიაში ცხოვრობს. 1944 წლის გაზაფხულზე 16 ქართველთან ერთად გერმანელთა ბანაკიდან გაიქცა და მხარში ამოუდგა იტალიელ პარტიზანებს. სად არ იბრძოლა — ვალსეზიისა თუ ბორგოსეზიის, დომოდესელასა თუ ვერბანიის მთებში. სწორედ მაშინ გაიცნო პარტიზანი ქალი, ახალგაზრდა ეჭთანი მარია პერონი და სამუდამოდ დაუკავშირა მას თავისი ბედი. ალბათ, ამან თუ განაპირობა, რომ ომის დამთავრების შემდეგ რაჭველი კაცი იტალიაში დარჩა და იქ შექმნა პატარა ქართული კერა.

ლავრენტი ახლაც საბჭოთა მოქალაქედ იწოდება — მას იტალიის ქვეშევრდომობა არ მიუღია. იგი ქარხანაში მუშაობს, ქალბატონი მარია პერონი — საავადმყოფოში, შვილები — ლორენცო და ჯულიანა სტუდენტები არიან.


ჩვენი თანამემამულის უველაზე დიდი სატკივარი ახლა ის არის, რომ ლორენცო და ჯულიო ჯაფარიძეებმა ქართული ენა არ იციან, თუმცა, რა გასაკვირია, ბევრი სიტყვა მამასაც დავიწყდა. კითხვა უფრო ეადვილება. თქვენს გაზეთში არც ერთ სტრიქონს არ ვტოვებო და საბუთად „სამშობლოს“ უკანასკნელი ნომერი გამოგვიტანა.

იტალიაში აკრედიტებული საბჭოთა ჟურნალისტების — ახალი ამბების სააგენტოს თანამშრომელთა დახმარებით დავთვალიერეთ რომის ღირსშესანიშნაობანი, ფლორენცია, მილანი. ვიყავით გენუაში, სადაც გულთბილი მილება მოგვიწყეს საბჭოთა საკონსულოს მუშაკებმა. ამ ქალაქში შევხვდით ერთ მეტად საინტერესო პიროვნებას — ლეგენდარულ იტალიელ პარტიზანს ფრანჩესკო კაპურროს, რომელიც ათი წლის წინათ მოსკოვში გავიცანი. როგორ გაიხარა, მთელი დღე ჩვენთან იყო, დაუვიწყარი მასპინძლობა გაგვიწია. მასთან ერთად გენუაში სტალენის დიდებულ სასაფლაოზე ვინახულეთ იტალიისა და საბჭოთა კავშირის გმირის თედორე პოლეტაევის საფლავი და ყვავილებით შევამკეთ იგი.

ვახტანგ ესვანჯია,


ნოვარა, რომი, თბილისი.







სურათებზე: ზევიდან — ფორე მოსულიშვილის თანამებრძოლები მარიო ქინონი და ზაქარია თომაშვილი; ქვევით — მეგონა ღურწკაია.



ქალაქი გენუა. ფრანჩესკო კაპურო თედორე პოლეტაევის საფლავთან.

წერილი იტალიიდან

ამხანაგო რედაქტორო!

პირველეს ყოველისა, გადაეცით ჩემი მოკრძალებული სალამი გმირი პარტიზანის ფორე მოსულიშვილის დედას, მას დაჭმას ხათუნასეებს.

მთიკოთხეთ ძმად შეფიცული ყველა ქართველი პარტიზანი, რომლებიც ასე თავდადებით იბრძოდნენ ჩვენს მხარდამხარ, გარიბალდის სახელობის ბრიგადებში.

ძვირფასო მეგობრებო! ჩემი აზრით, იტალიის უმაღლესი ჯილდო ოქროს მედალი „სამხედრო მამაცობისათვის“ კიდევ ერთი აღიარებაა ფორე მოსულიშვილის ვაჟკაცობისა და მის სახელს შარავანდედით მოსავს. რა თქმა უნდა, ახლა ჩვენ და თქვენ სიამაყის გრძნობით ვართ გამსჭვალულნი და არცთუ უსაფუძვლოდ. მინდა თქვენი გაზეთის მკითხველებს კიდევ ერთხელ ვაუწყო, რომ იმ მძიმე წლებში, საბჭოთა საქართველოს შვილები იტალიელ პარტიზანთა მხარდამხარ გასაოცარი ვაჟკაცობით იბრძოდნენ.

თუმცა დიდი ხანი გავიდა, მაგრამ მეხსიერებიდან არ ამოდის გარდასულ დღეთა ჭირ-ვარამი. ქართველმა და იტალიელმა პარტიზანებმა პირნათლად მოვიხადეთ ვალი ჩვენი სინდისის წინაშე, თითოეული ჩვენგანი ცდილობდა რაც შეიძლება სასტიკად ეძია შური მტერზე, რათა კაცობრიობა განთავისუფლებულიყო ფაშიზმისაგან, სიცოცხლე დაგვემკვიდრებინა სახრჩობელებითა და საკონცენტრაციო ბანაკებით მოფენილ ევროპის მიწა-წყალზე.

თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ საშინელი ნაცი-ფაშისტური ომის მანქანა დაიმსხვრა საბჭოთა ხალხის უდიდესი მსხვერპლის შედეგად საბჭოთა არმიისა და შტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი წინააღმდეგობის მოძრაობის ძალებით. საბჭოთა პარტიზანების ტყვია იტალიის მიწა-წყალზე მოთარეშე ფაშისტებსაც მისწვდა. მოხდა ისე, რომ პარტიზანულ ნაწილებში, რომლებიც ვალსეზიასა და ოსოლაში მოქმედებდნენ, ჩვენთან ერთად საბჭოთა საქართველოს მრავალი წარმომადგენელი იბრძოდა. სისხლისმღვრელი შეტაკებების დროს გრაველონაში, არონაში, ბორგოსეზიაში, ფარაში თუ რომაგანოში თქვენი მიწის შვილებმა წარმოუდგენელი სიმამაცე გვიჩვენეს. ბევრი სამუდამოდ განისვენებს იტალიის მთებში. მათ მიერ დაღვრილმა სისხლმა კი დაგვამეგობრა ჩვენ — იტალიელი და საბჭოთა ხალხი.

ამხანაგო რედაქტორო! ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი შეხვედრა ქალაქ მეინეში. მაშინ თქვენ ფორე მოსულიშვილის დედის ხელით გამოგზავნილი საქართველოს მიწა გმირის საფლავს მოაბნიეთ. ეს იყო წუთები, რომელმაც თითოეულ ჩვენგანს თვალთაგან ცრემლი მოსწყვიტა. ვიცი, ძალზე დიდია ფორეს დედის მწუხარება, მაგრამ ნუგეშიც დიდი აქვს — მან ხომ გმირი შვილი გაზარდა!

გთხოვთ კიდევ ერთხელ მომიკითხოთ ფორე მოსულიშვილის დედა და ოჯახის ყველა წევრი. ასევე სალამი გადასცეთ ჩვენს მხარდამხარ მებრძოლ ქართველ პარტიზანებს, ძალზე გავიხარებდით მათი ნახვითა და გულში ჩაკვრით.

P. S. რაც შეეხება ფორე მოსულიშვილის ნეშტის გადმოსვენებას არონას სასაფლაოზე, ველოდები მეინესა და არონას საქალაქო კომუნალური ადმინისტრაციების ნებართვას. ვფიქრობ, საბჭოთა საელჩოსთან კავშირი და ამხანაგ ერალდო გასტონეს დახმარება საქმეს მალე მიიყვანს ბოლომდე.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თქვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ამხანაგებს, რომლებმაც ასე დიდად შეაფასეს ფორე მოსულიშვილის გმირობა. მისთვის იტალიის უმაღლესი ჯილდოს მიკუთვნება.

დიდი მადლობა თქვენც ფოტოსურათებისათვის, რომლებზეც საქართველოს ლამაზი მთა-ბარია აღბეჭდილი.

ყოველთვის გამახარებს საქართველოდან წერილების მიღება.

ბრუნო კალეტი,

იტალია, კასტელეტო ტიჩინო.

ირანის ქართულ სოფლებში

წერილი თეირანიდან

ირანში მოგზაურობის დროს ზოგჯერ შეხვედრები აშკარად ქართული წარმოშობის სოფლების სახელწოდებებს: მარტყოფი, სულურეთი, ჯაყჯაყი, გურჯი-მაჰალა. ირანელებთან საუბარისას გაიგეს, რომ ამა თუ იმ ცნობილი ირანული ოჯახის წინაპარი ქართველი ყოფილა. ირანში ქართველ გადასახლებულებზე ლაპარაკია შუა საუკუნეების ქრონიკებში, ისინი მოხსენებული ჰყავს თავის წიგნში ცნობილ ირანისტს ვ. მინორსკის, რომელსაც ერთ დროს უმოგზაურია ირანში. ირანში ქართული სოფლების საკითხით დაინტერესდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი აღმოსავლეთმცოდნენი.

ვისარგებლე ირანში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის მაგალი თოდუას ყოფნით და მასთან ერთად სამ დღეს ვიმოგზაურე ქართველთა სავარაუდო დასახლების ადგილებში.

განვიზრახეთ გვეპოვა ის ქართული სოფლები, რომელთა არსებობაში ეჭვი არ გვეპარებოდა.

მე-17 საუკუნის 20-იან წლებში შაჰ აბასმა ხელთ იგდო აღმოსავლეთი საქართველო და, მოსახლეობის წინააღმდეგობა რომ შეესუსტებინა, ირანში გარეკა იქიდან 30 ათასამდე ქართველი (ზოგიერთი წყაროს მიხედვით მათი რაცხვი რამდენჯერმე მეტი იყო). ყველა ისინი დაასახლეს ფერეიდანის რაიონში, 100-120 კილომეტრზე ისპაჰანიდან — სპარსეთის შაჰების მაშინდელი დედაქალაქიდან.

ქართული სოფლების პოვნა ძნელი არ აღმოჩნდა. სულ იყო თხუთმეტი ასეთი სოფელი, ამასთან თორმეტს შეუნარჩუნებია წინანდელი ქართული სახელწოდებანი. მათი მცხოვრებნი ლაპარაკობენ ქართულად და ბევრ ძველ ქართულ და სპარსულიდან ნასესხებ სიტყვას ხმარობენ.

სახლების გარეგნული სახე და მოწყობილობა ქართული დარბა, მაგრამ რამდენადაც გადასახლებულები შემდეგ გამაჰმადიანდნენ, ყველაფერს მაჰმადიანობის ელფერი დაჰკრავს. მაჰმადიანური გახდა მათი სახელებიც. ამ ქართული სოფლების მოსახლეობა რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს.

აქ ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ. როცა მაგალი თოდუა მანქანიდან ჩამოვიდა, გამოელაპარაკა პირველსავე შემხვედრ კაცს ქართულ ენაზე და უთხრა, საქართველოდან ვართ, რაღაც წარმოუდგენელი რამ მოხდა. ატყდა ერთი აურზაური, ყოველი მხრიდან მორბოდნენ ქალები, ბავშვები.

გულგრილად ვერ შეხედავდი ამ ხალხს. ასობით წელიწადი გაუტარებიათ მათ სამშობლოს გარეთ, მაგრამ წმინდად ინახავენ მის ხსოვნას. შშობლიურ ენაზე ლაპარაკობდნენ და სიყვარულით მოუთხრობდნენ შვილებსა და შვილიშვილებს შორეულ მამულზე. საიდანაც მათი წინაპრები მოსულან.

ქართველები სახლდებოდნენ აგრეთვე სამხრეთ ირანში — ქერმანის რაიონში. იქ მე-18 საუკუნის დამდეგს იდგნენ ქართველი ლეგიონერები. გორგინ-ხანის — საქართველოს მეფე გიორგის მეთაურობით ისინი იცავდნენ ირანის აღმოსავლეთ საზღვრებს უცხოელთა შემოსევისაგან. ქრონიკებიდან ცნობილია, რომ შაჰ-ჰუსეინს ტყვედ წაუყვანია გიორგი მეფე, ირანის აღმოსავლეთი საზღვრების დაცვა დაუვალებია და ამისათვის თავისუფლება აღუთქვამს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სადღაც ქერმანის მზით გადაბუგულ უდაბნოებსა და მთებში ცხოვრობენ ქართველ ლეგიონერთა შთამომავალნი.

ქართული დასახლების კიდევ ერთი კერა არის ჩრდილოეთ ირანში — კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

მათ მოსაძებნად დავადექით ძველი მეჰხედის გზას ფირუზკუჰსა და შემდეგ სარისაკენ. პირველი შეხვედრა მოულოდნელი იყო.

ჩვენი „მოსკვიჩი“ ფრთხილად მიდიოდა ვიწრო, მოყინულ გზაზე და ყოველ წუთს შეიძლებოდა დაცურებულიყო. უცებ შევნიშნეთ სიცივისაგან აბუზული ორი ბიჭუნა. შევჩერდით და მაგალი თოდუამ ჰკითხა, აქ სადმე „გურჯების“ სოფელი ხომ არ არისო. გაწლავთ, უპასუხეს მათ, ჩვენ თვითონ „გურჯები“ ვართო. ყმაწვილებმა გვითხრეს, უღელტეხილის მახლობლად სოფელ შურა-აბში ვცხოვრობთ და იქ ყველანი ქართველები არიანო. ბიჭებს სახე გაუბრწყინდათ, როცა შეიტყეს, რომ ქართველს ელაპარაკებოდნენ. ისინი სპარსულად საუბრობდნენ. მაგრამ როცა თოდუამ ჰკითხა, ქართული თუ იცითო, ბავშვებმა სიხარულით დაუკრეს კვერი. მაგრამ, ვაი რომ ენას, რომელზეც ისინი საუბრობდნენ, საერთო არა ჰქონდა რა ქართულთან. ეს იყო სპარსულის დიალექტი და როცა თოდუამ ეჭვი გამოთქვა მათი ქართველობის გამო, ბიჭებმა იწყინეს და ატირდნენ კიდეც — ჩვენ ნამდვილი „გურჯები“ ვართო და ჩრდილოეთისაკენ კიდევ არისო „გურჯების“ ერთი სოფელი, რომლის მცხოვრებნი დაადასტურებენ, რომ შურაბელები ნამდვილი „გურჯები“ არიანო.

შურა-აბში ვეღარ ავედით. იქითკენ მარტო ვიწრო ბილიკი მიდიოდა, თანაც უცებ დიდი თოვლი წამოვიდა. გადავწყვიტეთ სხვა დროს აუცილებლად შემოგვევლო აქ. ბიჭები გვემუდარებოდნენ, სოფელში გაგვყოლოდითო და მოხუცები გვეხახა, რათა დაგვერწმუნებინა, რომ შორეულ სამშობლოდან ჩამოსულ ნამდვილ ქართველთა შეხვედრა ბავშვების მოგონილი ამბავი არ იყო. მაგრამ უკვე მწუხრი ეშვებოდა. წინ გრძელი და ძნელი გზა გველდო. რაღა დაგვერჩენოდა, ბიჭები დავარწმუნეთ, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდით, და გზას გავუდექით.

ა. ამყელაიანოვი,
საკდების კორესპონდენტი.
თეირანი.



მეტეხი

ალექსანდრე სარიშვილის ფოტო

არტურ ლაისტი — რაფიელ ერისთავს

რედაქციაში თმადათოვლილი ქალი გვეწვია. გაგვეცნო — რაფიელ ერისთავის შვილიშვილი ვარო. სიამოვნებით მოვუსმინეთ პოეტის შთამომავალს, ქალბატონ მარიამ მრისთავს. შრომის წითელი დროშის ორდენოსან აგრონომ-პედაგოგს 45 წელიწადი ახალგაზრდების აღზრდისა და განათლების საქმისათვის მოუხმარებია. ახლა დასვენების დამსახურებული უფლებით სარგებლობს — პერსონალური პენსიონერია, მაგრამ რა მოასვენებს საქმის მოყვარულს — იგი რედაქციების ხშირი სტუმარია და საინტერესო ამბების მთხრობელი. არც ჩვენთან მოსულა ხელცარიელი — მოგვიტანა არტურ ლაისტის გამოუქვეყნებელი წერილი პოეტ რაფიელ ერისთავისადმი. ქალბატონ მარიამს მადლობას მოვახსენებთ ამ წერილისათვის, რომლის თარგმანსაც (იგი ფრანგულად არის დაწერილი) ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

„ჩემო თავადო!

ათასჯერ მადლობელი ვარ იმ ამანათისათვის, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ და რომლითაც დიდად მახარებენ. თქვენი ლექსები მშვენიერია და მე ზოგიერთი ვცადე პოლონურ ენაზე მეთარგმნა. ყველაზე ძალიან მომწონს „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც უკვე თარგმნილია. იგი ასე იწყება (მოყვანილია სტროფი პოლონურად — მ. ე.). ჩემი მიზანი სწორედ ის არის, რომ ვთარგმნო თქვენი ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებანი, რათა დავუმტკიცო ჩვენს საზოგადოებას, რომ ნამდვილ სილამაზეს ჰყავს თავისი გამავრცელებელნი კავკასიის გარეთაც და რომ ქართველი ერი ბევრს გვპირდება მომავალში.

ჩემი მიზანია ვუმღერო თქვენს შესანიშნავ ქვეყანას და თქვენს შესანიშნავ წარსულს. ამიტომ გადავწყვიტე ჩამოვიდე თბილისში აგვისტოს ბოლოს. უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩემი პატივისცემა თავად დავით ერისთავს.

არტურ ლაისტი,
17 ივლისი, 1882 წელი“.

მალანი თუ მალანია?

ამ ორი წლის წინათ ქართულ გაზეთებში („სახალხო განათლება“, „საშობლოს ხმა“) ერთი მცდარი შეხედულება გამოითქვა — თითქოს გასული საუკუნის ცნობილი ინგლისელი მეცნიერი სოლომონ მალანი უცხოეთში მოღვაწე ქართველი სოლომონ მალანია იყოს.

რა თქმა უნდა. ასეთი მტკიცება საფუძველს მოკლებულია და როგორც მეცნიერებს, ისე ფართო საზოგადოებას ამისათვის სერიოზული მნიშვნელობა არ მიუციათ, მაგრამ ზოგიერთმა მაინც იწამა სოლომონ მალანის ქართველობის ვერსია და კერძო საუბრებსა თუ რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილებში მას, როგორც ქართველს, იხსენიებენ.

ამ გარემოებამ გადაგვაწყვეტინა კიდევ ერთხელ მივბრუნებოდით სოლომონ მალანის ვინაობის საკითხს, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ჯერ მეცნიერს მართლაც ახასიათებს ასეთი მიდრეკილება: თუ უცხო სიტყვაში, გვარსა და სახელში, ან ადგილმდებარეობის, ქალაქისა და სოფლის სახელწოდებაში ქართულ სიტყვასთან მსგავსება შენიშნა, ნაჩქარევად გამოაქვს დასკვნები ესა და ეს კაცი წარმოშობით ქართველია, ან ესა და ეს ქალაქი დაარსებულია ქართველის მიერ, რომ აქ ერთ დროს ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენო და სხვა.

საბედნიეროდ, საქართველოს წარსული იმდენად მდიდარია დიადი მოვლენებითა თუ გამოჩენილი ადამიანებით, რომ მათი გამოგონება და უკანონოდ მისაკუთრება არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

მაშ ვინ იყო მალანი?

მალანთა გვარი წარმოშობით იტალიურია, უფრო ზუსტად — მისი ჩრდილოეთი ნაწილიდან, კერძოდ პიემონტიდან არის. სადაც, სხვათა შორის, ლა-გურების (ეტრუსკთა) ტომთა ცხოვრება და ზეგავლენა განსაკუთრებით შეიმჩნევა.

მსოფლიო რამდენსამე მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს იცნობს მალანის გვარით.

სოლომონ ცეზარ მალანი — ძე ცეზარ ჰენრი აბრაჰამ მალანისა, დაიბადა 1812 წლის 22 აპრილს უენევაში. 1830 წელს ერთ მდიდარ ოჯახში ხელი მიჰყო სამღვთო სჯულის (თორის) რეპეტიტორობას, შემდეგ ცოდნა გაიღრმავა, კვალიფიკაცია მიიღო და რამდენსამე საგანს ასწავლიდა ოქსფორდში. 1837-1840 წლებში სოლომონ მალანი კალკუტაში მოღვაწეობდა და სიპისკოპოსო (ბიშოპის) კოლეჯში კლასიკურ საგნებს კითხულობდა. მალე შიიღო წარჩინებული მღვდლის — პატრის ხარისხი. მრავალი ფათერაკიანი თავგადასავლის შემდეგ, 1845 წელს ლონდონის ბროდ ვინძორში სასახლის მოძღვრად ამოჰყო თავი. ამ მოვალეობას იგი პირნათლად ასრულებდა 1886 წლამდე.

განსაკუთრებული ნიჭის წყალობით სოლომონ მალანი ბევრ ევროპულ და აზიურ ენას ფლობდა, მათ შორის ქართული და სომხურიც მშვენივრად იცოდა. 1872 წელს ქუთაისში, გზად გავლისას, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის თანდასწრებით საუცხოოდ იქადაგა, სწერა და იგალობა ქართულად. სოლომონ ცეზარ მალანმა შემდეგ ქართულიდან ინგლისურად თარგმნა და გამოაქვეყნა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი და ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის „ქართული ეკლესიის ისტორია“.

მაღალკვალიფიციური თარგმანებით სოლომონ მალანს სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და პატივისცემით ეკიდებოდნენ ტიბეტში, ჩინეთში, ინდოეთში, შვეიცარიასა და ინგლისში. მან გაშიფრა და წაიკითხა ჰორტისა და ვესგოთების დამწერლობა და თარგმნა ისინი აღმოსავლურ ენებზე. მალანს იცნობდნენ როგორც ბიბლიოფილსა და მხატვარსაც. მისი წიგნთკოლექცია ოქსფორდის ინდოეთის ინსტიტუტშია დაცული, ხოლო მის „პალესტინის მხატვრობას“ ახლაც ნახავთ ბერლინგტონ ჰაუსში. ებრაულ, სანსკრიტულ, ჩინურ, კოპტურ, სირიულ, ამჰარინურ, გოთურ, სლავურ, არაბულ, სპარსულ, ტიბეტურ, იაპონურ, ინგლისურსა და უელსურ ენებზე მალანის მიერ დაწერილ შრომათა შორის, აღმოჩენილია ქართულად დაწერილი მეცნიერული შრომებიც. აღსანიშნავია, რომ დოქტორ მალანს საკუთარი ხელით 80 ენაზე დაწერილი ფსალმუნი ბოდლის წიგნსაცავისათვის შეუწირავს ოქსფორდში.

ისმება კითხვა: მალანის პირად არქივში არსებული რამდენიმე ქართულად დაწერილი ნაშრომი, რომელთა რაობა ჩვენთვის უცნობია, გვაძლევს უფლებას ვუწოდოთ მას ქართველი მეცნიერი თქმა უნდა, არა. მით უმეტეს, რომ ასეთი ხასიათის შრომები მას მრავალ ენაზე აქვს შეხრულებული. გარდა ამისა, საკმარისია ჩავიხედოთ საზღვარგარეთულ ენციკლოპედიებში და კერძოდ მალანის ვაჟისაგან მამამისზე შედგენილ მონოგრაფიაში, რომ დავრწმუნდეთ სოლომონ ცეზარ მალანის ვინაობაში — იგი ინგლისელი იყო და ინგლისელად გარდაიცვალა 1894 წლის 25 ნოემბერს ბოუნ-მაუსში (ბირმინგამში).

და თუ მხოლოდ გვარის მსგავსების მიხედვით ვიმსჯელებთ, იტალიელებს გაცილებით მეტი უფლება უნდა ჰქონდეთ სოლომონ მალანის თანამემამულეობაზე. და, მიუხედავად ამისა, არა მგონია, რომ მათ ასეთი პრეტენზია წამოეყენებინოთ. მით უმეტეს, რა შუაში ვართ ჩვენ. ან რა გვეჭირდა ისეთი, რომ სხვა ერის შვილები ქართველებად ვნათლოთ!

ამირან ცამციშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მშვენიერების ტყვეობაში

(დასასრული)

...ულ ძეგლებსა და კედლის ნახაზებს შორის ვეძებდი „მხატვრულ ქართულობას“ და ეს მით უფრო სამხრეთ საქართველოში იყო საძებარი.

ჩემი ცხოვრების რთული და ეკლიანი გზით უკმაყოფილო მაინც არა ვარ. ამ შემთხვევაშიც მე ახალ სამყაროში აღმოვჩნდი, რომლის კარი პირველად ჩაკეტილი დამხვდა. მაგრამ ცნობისმოყვარეობითა და სითამამით აღჭურვილმა, უკან აღარ დავიხიე. დიდი იყო მშობლიურობა და ცდუნება ამ ფანტასტიკური საიდუმლოების გაგებისა.

ვიგრძენი თუ არა მისი სიდიადე, ამ კეროვნული კულტურის საუნჯის სიღრმეში უმალვე ჩავიძირე, ჩემი მხატვრული შემეცნების წინაშე გადაიშალა საოცარი, ფერწერული ხილვებით აღსავსე სამყარო. ამ კედლების მხატვრობამ დამატყვევა სურათოვნების ორიგინალობით, მაღალი სატოვნების თავისებურებით, მეტად ინდივიდუალური წყობის მქონე სტილით. ფრესკები გასაოცარი ჰარმონიით ერწყმოდნენ ტაძრის არქიტექტურას, ნაგებობათა მთელ ანსამბლს, ასევე მთელ გარემოს.

ამ უბრწყინვალესი მხატვრობის თემები უმთავრესად სასულიერო ხასიათისა იყო, უნატიფეს და ულამაზეს წმინდანებს მზექალებისა და მზევაჟების სახეები ჰქონდათ, რა ძალით გვიცქეროდნენ ღვთისმშობელი და მისი დობილები! თითქოს სურთ ავს აკვამორონო. აგერ მზეჭაბუკი თვთრ ბედაურზე, იგი საქართველოს მცველი და მფარველი უნდა იყოს. ამ პერსონაჟების საოცარი მიმზიდველობის ძალა აქვთ, მათი კეთილშობილება გხიბლავს, მზადა ხარ მათ მიენდო. ისინი გაჯერებენ, რომ ქართველი ერის შემოქმედებითი გენია არ გაქრება.

უმშვენიერესი ბუნების გარემოცვაში იდგნენ ეს ბუმბერაზი ძეგლები თითქოს უპატრონონი, საუკუნეობრივ ძილსაც კი მისცემიანო, მაგრამ თითქოს მშობლისა და მფარველის განუწყვეტელ ლოდინში იყვნენ, ალერსს ითხოვდნენ... იქნებ ჭამთა სვლა და სიავე მათ ფერფლად ქცევასაც კი უქადდა, მაგრამ ჩვენ დროულად შევაღეთ ამ ტაძრების საუკუნეთა მანძილზე დახშული კარები. შენახული უძველესი ბგერებისა და ხმების პირველწყაროს საკვირველი ძალით სწვდებოდა ჩვენი ინტუიცია, გრძნობდა ჩვენი გულისყური. ჩვენც ყველანი „ქქვითიმოსნები“ გავხდით!

ამ ფრესკებში დავინახე საუკუნეობრივი განძი და უკვდავება. კომპოზიციებმა, სცენებმა და პერსონაჟებმა ამ კედლებზე, ასე მაღალმხატვრულად წარმოდგენილმა, ჩემ ფიქრებში აღადგინეს და გააცოცხლეს ძველთაძველი ეპოქები, მრავალსაუკუნოვანი სანახაობები. გატაცებით ვეწაფებოდი იმ დიდი ადამიანების მიერ დატოვებულ გენიალურ ქმნილებებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს ადამიანთა ბედნიერებას.

ამ ფრესკებში გენიოსთა მიერ გარდაქმნილი სამყარო ჰარმონიულად შერჩეულ ჭეშმარიტებასა და სიმართლეზე ააგეს ავთა და უგუნურთა დასაგმობად.

რა დიდი ნეტარება განმაცდევინა ამ მშვენიერების გარემოში ხანგრძლივად ყოფნამ! ხოლო მის სულიერ გავლენას მარადჟამს ვგრძნობ!

რა შეიძლება მოგვცეს ამ მხატვრობამ ან რით შეიძლება დაეხმაროს ეს კულტურის ტრადიციები ჩვენს დღევანდელ სახვითი ხელოვნების მუშაკებს?

ჩვენი დღევანდელი მხატვრობის გზები ძალიან რთული და საკმაოდ მისხლართულ-მოხლართულია. ფიქრობენ, რომ რენესანსის ეპოქამ სავსებით ამოწურა აკადემიური სკოლების შესაძლებლობანი. ევროპელმა მხატვრებმა ლუვრის მუზეუმის ირგვლივ რკინის გაუვალი კედელი აღმართეს, რათა იქით არ გაეხედათ. მტკიცებას არ საჭიროებს არც ის ფაქტი, რომ ლეონარდო და ვინჩიმ მაქსიმალურად გამოიყენა გონების ძალა და რესურსები. მაშ რა გზას დაადგეს თანამედროვე ხელოვანი ამ ცივილიზაციაში, როდესაც ასე მოჭარბებულია მეცნიერული აღმოჩენები, გაძლიერებულია ტექნიკა, მექანიზებულია მთელი ჩვენი თანამედროვე ცხოვრება. სად და როგორ ეძიოს ახალი სასიცოცხლო საშუალებანი? აქვს თუ არა უჩინარი ვიტალური ძალები ხელოვანს საკუთარ შინაგან სულიერ ბუნებაში? რა თქმა უნდა, დიდ შემოქმედს მუდამ დიდი შინაგანი იდუმალი ძალა აქვს, ვხედავდი, რომ ჩემი წინაპრები, რომელთა ქმნილებების წინაშე ამ ტაძრებში ვიდექი უტყვი, თავის გენიალურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ გრძნობითა და ინტუიციით ნაკარნახევი ხერხებითა და საშუალებებით. ეს მაღალი პრინციპი, ჩემი აზრით, გასდევს და უდევს საფუძვლად „მხატვრულ ქართველობას“.

ამ კედლის მხატვრობის ნახვა და შესწავლა აგრეთვე დამეხმარა იმის დადგენაში, თუ რა კომპონენტებისაგან უნდა შედგებოდეს სტილი ან რაშია სირთულე. როგორც ცნობილია, სტილი არის ესა თუ ის მანერა, რომელსაც ხელოვანი იყენებს თემის, სიუჟეტის, იდეის ხორცშესასხმელად. მანერაში, რა თქმა უნდა, შედის ხელოვანის ნატურის, ტემპერამენტის, ხასიათის, ეროვნული თავისებურების პიროვნული ნიშნები. სტილში ნათლად გამოსჭვივის პიროვნების შემოქმედებითი პროცესის დინება, მისთვის დამახასიათებელი ტემპი, რიტმი, აღტყინების, მღელვარების, თავშეკავების ძალა, ხელოვანის მხატვრული მეტყველების მრავალმხრივობა და მრავალფეროვნება. მჯერა, რომ არა მარტო ხილული და უხილავი ინდივიდუალური თვისებები ან სულიერი შეხება რომელიმე კონკრეტულ ფაქტთან ქმნის სტილს, არამედ ყველაფერი ის, რაც შეადგენს ინდივიდუმის შინაგან სულიერ სისტემას.

ჩემი მხატვრული სტილის ჩამოწრთობაში ქართულმა ფრესკამ, რომელიც მე მშობლიურ პირველწყაროდ მიმაჩნია, კეთილი ხელი დამდო.

ხახულის ტაძარში მოხდა ჩემი პირველი, შემოქმედებითი შეყრა ფრესკასთან. აქ, ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით, გავაკეთე კედლის მხატვრობის პირი „იერუსალიმში შესვლა“, საკმაოდ დიდი ზომისა. ამის გარდა, გადმოვიღე პირები „ქრისტეს ფიგურისა“ და რამდენიმე წმინდანის მთლიანი კომპოზიციური პორტრეტი.

ახლა ჩემი გონების თვალწინ დიდ ფრესკად აღმართულა წარსულის იმედიანი მწიგნობარი — თვით ექვთიმე თაყაიშვილი.

გულწრფელად უნდა აღვნიშნო, მე მრავალმხრივი განათლება და უფრო ჩაღრმავებული შემოქმედური ჭვრეტა მომცა ამ მოგზაურობამ. ამ მხატვრულ განძთან შეხებით ვეზიარე ცხოვრების საწყისს, ქალწულებრივ სიწმინდეს, ბუნების სტიქიას, პირველყოფილ სიჯანსაღესა და სილამაზეს. მე კი, როგორც ძალზე ცივილიზებული და ინტელექტუალური ეპოქის შვილს, სწორედ ეს მაკლდა.

ლადო გუდიაშვილი

სტუმრები იაპონიიდან

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი კოლექტივის გაცნობის მიზნით ამომავალი მზის ქვეყნიდან გვესტუმრნენ იაპონელი მხატვრები ცნობილი მოქანდაკის ხიდეო ხორინოს ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ფერმწერლები ხორიო კურაჩი და ტეცუო სირანო.

სტუმრებს მახპინძლობდა აკადემიის რექტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, პროფესორი აპოლონ ჭუთათელაძე. მან იაპონელ მხატვრებს გააცნო აკადემიის თვრამეტივე კათედრის მუშაობა, ესაუბრა მის მომავალ იუბილეზე, რომელიც გაისად აღინიშნება. დელეგაციის ხელმძღვანელი განსაკუთრებით დაინტერესა ქანდაკების კათედრამ.

— ჩვენ საქართველოში პირველად ვართ, — განაცხადა ხიდეო ხორინომ, — მოგვწონს თქვენი აკადემია. ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ იგი სახელგანთქმულია არა მარტო სიდიდით (აქ 1.200-მდე სტუდენტია და 300-მდე პროფესორ-მასწავლებელი), არამედ სწავლების ხარისხითა და შემოქმედებითი ატმოსფეროთიც.

იაპონიაში გვაქვს სახვითი ხელოვნების უმაღლესი სკოლა. ვფიქრობთ, თქვენთან ყოფნის შემდეგ ბევრ რამეს გადავიღებთ.

დელეგაციის წევრებს მოეწონათ რეალისტური ქართული ეროვნული მხატვრობა, ჩვენი კერამიკა, ხუროთმოძღვრება.

— ვიმედოვნებთ, — აღნიშნა ბატონმა ხორინომ, — რომ ჩვენი სტუმრობა საშუალებას დაუდებს იაპონელი სახვითი ხელოვნების წარმომადგენლებსა და ქართველი მხატვრების მომავალ მეგობრობას.

შევჩენკოს პრემია — ქართველ რეჟისორს

საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტს, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ რეჟისორს დიმიტრი ალექსიძეს რამდენიმე დღის წინ კიევში საზეიმოდ გადაეცა ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემია.

ეს მაღალი ჯილდო ქართველმა რეჟისორმა დაიმსახურა ივან ფრანკოს სახელობის კიევის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ალექსანდრე კორნეიჩუკის დრამის — „ხსოვნა გულისა“ დადგმისათვის. ახლა იგი ამ პიესას ამზადებს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დასადგმელად.

ესპერიო ბაზარზე

ქუთაისის ელექტრომანქანათაშენებელი ქარხნის პროდუქცია იგზავნება კუბაში, პოლონეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პაკისტანში. ქარხნის მიერ გამოშვებული აკუმულატორიანი ელექტროტვირთმზიდავები, ნავთობის ელექტროცენტრიდანული ტუმბოები, მძლავრი წყალსატუმბები, სამახტე ელემენტები მსოფლიო ბაზარზე დიდი მოწონებით სარგებლობს.

გამარჯობა, საქართველოვ!

„ვოქაბი“ — ასე ჰქვია საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეთოდურ ჟურნალს. წელეულს მისი მეორე ნომრის დიდი ნაწილი ჩვენს რესპუბლიკას დაეთმო. ჟურნალი ათავსებს მასალებს საერთო სათაურით — „ლაპარაკობს საქართველო“.

„1921 წლის თებერვალში, — ნათქვამია შესავალ წერილში, — საქართველოს ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა. თბილისზე აფრიალდა წითელი დროშა, გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. დღეს საქართველოს რესპუბლიკა თავის ოქროს თუბილეს აღნიშნავს.

თუ გინდათ გაიგოთ, რამდენად ბედნიერია ქვეყანა, მის ბავშვებს უნდა შეხედოთო — ძველთაგანვე უთქვამს ბრძენ კაცს. დიდია საბჭოთა საქართველოს წარმატებანი. მის ნახევარსაუკუნოვან განვითარებაზე კარგად მეტყველებს ციფრები და ფაქტები. მაგრამ უფრო ნათლად წაიკითხავთ ამას ბავშვთა სახეებზე.

ქართველი ბავშვები თავიანთი მიწა-წყლის საუკეთესო ტრადიციების შემკვიდრენი არიან. შრომისმოყვარენი — რასაც კარგად ამტკიცებენ ჩაის პლანტაციებსა თუ ვენახებში მუშაობისას; ნიჭიერები — ამაში ადვილად დარწმუნდებით ჭედურობის, ფერწერის ნორჩი ოსტატების მიერ შეუდარებელი უშუალობით, განუმეორებელი სილამაზით ნაჭედი და ნახატი ქმნილებების ხილვისას, დატკბებით ბავშვის ხელით გაცოცხლებული ქვისა და ხის მზერით: თამამი, ლაღი — თნელია ადგილზე დამავრდეს, როცა ხედავ შავთვალება გოგო-ბიჭების ცეკვებს; ხელმარჯვენი — ქართველი პიონერების ხელით შექმნილია ყველაზე თანამედროვე მანქანების მოდელები და გამოყვანილია ყვავილების ახალი ჯიშები: სტუმართმოყვარენი — მხიარულნი და კეთილნი.

გამარჯობა, საქართველოვ!“

ჟურნალი ათავსებს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვიქტორია სირაძის წერილს — „რესპუბლიკის ოქროს თუბილე“, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნუნუ ლაღიძის, ახალციხის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნის ლია ხმალაძის, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის სიმონ წიქურიშვილის წერილებს, ნორჩი პოეტების ლექსებს, მხატვრებისა და ჭედურობის ოსტატების ნამუშევართა რეპროდუქციებს და სხვა. მასალები უხვად არის დასურათხატებული.

გაზელში — გამოფენაზე

ბაქოში ბაზამ შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში, საბჭოთა საექსპორტო საქონლის პირველ გამოფენაზე გაგზავნა ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობათა მიერ ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე გამოშვებული წიგნები.

ბაზელში დამთვალიერებლები ნახავენ „ვეფხისტყაოსანს“, გამოცემულს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, გიორგი ლეონიძის პოემებს. ფოტოალბომებს, ლამაზად გაფორმებულ რეკლამებს, მხატვრულ სამახსოვრო გამოცემებს, ნათელა ურუშაძის — „ელენე ახვლედიანი თეატრში“, მინიატურულ, ფერად ფურცლებს, ბუკლეტებს...

სულ გაგზავნეს 170 დასახელების წიგნი — პოლიტიკური, სამეცნიერო, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა.

ყოველი მხრიდან

დაგვიძებენ, მოგველიან

გაბრიელ ვასილის ძე ჯიბლაძეს,

დაბადებულს 1916 წელს თიანეთში, ეძებენ მამა — **ვასილ**, მეუღლე — **ბაბუალია**, შვილი — **დარეჯან ჯიბლაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, წყნეთის ქუჩა, კორპუსი 2 ა, ბინა 32

დიმიტრი მოსეს ძე ჰუჰულაშვილს,

დაბადებულს 1914 წელს წითელი წყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში, ეძებენ დედა — **თამარ**, ძმა — **ოსებ**, მეუღლე — **გენო**, შვილი — **ნანა**, სიძე — **უშანგ**, შვილიშვილები — **გია და მზია წყარუაშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ჯაფარიძეში.

ვალიკო კონსტანტინეს ძე მირიანაშვილს,

დაბადებულს 1923 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, ეძებენ მამა — **კოტე**, დედა — **ნინო**, ძმები — **ბიძინა და ჟორა (გიორგი) მირიანაშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ანაგაში.

გიორგი ილიას ძე პაპიაშვილს,

დაბადებულს 1908 წელს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში, ეძებენ დედა — **დარო**, მეუღლე — **ეკატერინე**, შვილები — **მედეკო, ნელი, ნოდარ**, სიძეები — **გიორგი ნებიერიძე, გაიოზ მაჩაბლიშვილი**, შვილიშვილები — **ქეთინო, მარინე, გია, ვანო**, მცხოვრებნი თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა № 4.

ივანე ანდრიას ძე მელქაძეს,

დაბადებულს 1911 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშში, ეძებენ დედა — **მატრონე**, მეუღლე — **მარიამ**, შვილები — **ლეილა, იზოლდა, მადონა** და **ვარა მელქაძეები**, მცხოვრებნი სოფელ ჩხენიშში.

ანტონ გრიგოლის ძე გადალაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს მანგლისში, ეძებს დისწული — **მარიამ ივანეს ასული ადამოვა**, მცხოვრები თბილისში, ალიხანიანის ქუჩა № 12.

გრიგოლ ერგინოზის ძე არჩვაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ფუტიეთში, ეძებენ მამა — **ერგინოზ**, დედა — **ანეტა**, ძმები — **თედორე (ხუჯა), ოთარ, ვახტანგ, ალი**, დები — **ნორა და ციცო არჩვაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, მეჯვრისხევის ქუჩა № 4.

პორფილე ილარიონის ძე ჩემინავას,

დაბადებულს 1905 წელს ქალაქ გუდაუთაში, ეძებენ მეუღლე — **ალექსანდრა**, შვილები — **ლენა, მერი, ვალოდია** და **ილია ჩემინავები**, მცხოვრებნი ქალაქ გუდაუთაში, ბარიუნების ქუჩა № 3 (ყოფილი ბეზიმიანსკაიას ქ. № 5).

დავით გაბრიელის ძე ვერძეულს,

დაბადებულს 1908 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთში, ეძებენ მეუღლე — **კატო**, შვილები — **ზაირა, ანზორ, გოდერძი**, დები — **თამარ, მანია, ლიდა ვერძეულები**, მცხოვრებნი სოფელ ბაზალეთში.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ღვინიაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს თბილისში, ეძებენ დედა — **მარგალიტა**, ძმა — **გოგი**, დები — **კატო** და **ნუნუ ღვინიაშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი, მე-8 კორპუსი, მე-4 სადარბაზო, ბინა 87.

ნიკანდრი სევერიანის ძე დოლიძეს,

დაბადებულს 1903 წელს წოლოკიძის რაიონის სოფელ მათხოჯში. ეძებენ მეუღლე — **ლუსია**, შვილები **დალი, გურამ, სოსო დოლიძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ბოჭორიშვილის შესახვევი № 10.

სპორტი

გვეწვია დიდი ფეხბურთი

ამ დღეებში სტარტი მიეცა საბჭოთა კავშირის XXXIII ჩემპიონატს ფეხბურთში.

თბილისის „დინამოს" წლეულს 8 „ფრონტზე" მოელის პაექრობა: საბჭოთა კავშირის პირველობაზე, თასზე (აქ თბილისელებმა უკვე ჩამოიშორეს ორი სახიფათო მეტოქე — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" და ერევნის „არარატი") და ევრეთ წოდებულ უეფას ტურნირზე, რომელიც შემოდგომიდან პოპულარულ „საბაზრო ქალაქების თასის" ნაცვლად გაიმართება. ისე რომ, ფეხბურთის გულშემატკივრებს ხანგრძლივი და მძაფრი სეზონი მოელით.

თბილისელთა გუშინდელი მეტოქე, მოსკოვის „ტორპედო" საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. იგი უმაღლეს ლიგაში 1938 წლიდან თამაშობს, 1960 და 1965 წლებში მოსკოვის „ტორპედო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო — სამჯერ, 1949, 1952 და 1960 წლებში — თასის მფლობელი.

„ტორპედოში" თამაშობდნენ გამოჩენილი ოსტატები ალექსანდრე პონომარიოვი, რომელსაც ყველაზე მეტი — 152 ბურთი აქვს გატანილი საკავშირო ჩემპიონატებში, ანატოლ აკიმოვი, ვიქტორ მასლოვი, ნიკოლოზ მოროზოვი, ავგუსტინ გომესი, ვალერი ვორონინი, ნიკოლოზ მანოშინი, ვალენტინ ივანოვი, ედუარდ სტრელცოვი...

თბილისის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო" ძველი სპორტული მეტოქეები არიან. ორივე გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობს. თბილისელები, როგორც წესი, წარმატებით იბრძვიან „ტორპედოს" წინააღმდეგ.

ვრადიცია არც გუშინ დარღვეულა. თბილისელებმა თავიანთ პირველ მატჩში ძლიერ მეტოქესთან ორი ჭულა აიღეს. სტადიონზე მოსული ათასობით მაყურებელი საინტერესო ასპარეზობის მოწმე გახდა. ორივე გუნდი იბრძოდა სწრაფი ტემპით, გაშლილად და, რაც მთავარია, გვიჩვენა ტექნიკური ფეხბურთი.

მაშ ასე, პირველი მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0. 41-ე წუთზე გოჩა გავაშელის მიერ ტორპედოელთა კარში გატანილმა ერთად-ერთმა ბურთმა გადაწყვიტა თამაშის ბედი.

კარგი დასაწყისია!









ფეხბურთი — ჩვენი სიყვარული!... ასე ვუწოდეთ ამ სურათებს, და მართლაც, მწვანე მინდორზე გამართული ასპარეზობანი დიდი ხანია შეიყვარა მილიონობით ადამიანმა...

სპორტული ქრონიკა

მოკლედ

● **ქვეყნის უძლიერეს** „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრებაზე, რომელიც კიროვსკში გაიმართა, თავი ისახელა ვეტერანმა სპორტსმენმა, 37 წლის კობა წაქაძემ. „მფრინავ ტორპედოს", როგორც სპორტულ სამყაროში კობას უწოდებენ, საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში ბადალი არ ჰყავდა. 85 მეტოქესთან ბრძოლაში იგი მესამედ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. კობამ ორი ნახტომის ჯამში 242,5 ქულა დააგროვა (იგი ორივეჯერ 73,5 მეტრზე გადახტა) და უკან ჩამოიტოვა ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც არიან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ნაპალკოვი და გრენობლის თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონი ბელოუსოვი.

● **რიგაში გაზეთ** „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზის გათამაშებაზე, რომელშიც, ჩვენი ქვეყნის მოცურავეების გარდა ბულგარეთის, ინგლისის, უნგრეთის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი სპორტსმენები გამოდიოდნენ, კვლავ გაგვახარა თინათინ ლეკვეიშვილმა. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მან ყველა მეტოქე დაჯაბნა.

● **ნეაპოლში** გამართულ ევროპის იუნიორ ძიუდოისტთა შეჯიბრებიდან მედლებით დაბრუნდნენ ჭარიელ ცინცაძე და რამაზ ხარშილავა.

ტარიელი უძლიერესი იყო მჩატე წონის მოჭიდავეთა შორის. 17 წლის კასპელი ჭაბუკის ჭიდაობა საუკეთესოდ შეაფასა იტალიის სპორტულმა პრესამ.

რამაზმა კი ვერცხლის მედალი მოიპოვა საშუალო წონის ფალავანთა შორის.

● **ლიეპაიაში** დამთავრდა „დინამოს" მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი ჰადრაკში. პირველი ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა ოსტატმა ციური კობაიძემ.

თქვენთვის, ფეხბურთის მოყვარულნო!

მექსიკის საფეხბურთო ბატალიებზე ძალზე ბევრი დაიწერა. ქართველმა ჟურნალისტებმა, რომლებიც მსოფლიო პირველობას ესწრებოდნენ, ჩვენს გულშემატკივრებს რამდენიმე საინტერესო წიგნი შესთავაზეს.

ამ ცოტა ხნის წინათ მკითხველმა მიიღო კიდევ ერთი ასეთი წიგნი. ჟურნალისტი შოლარცულიანი „ოქროს ქალღმერთის მოტაცებაში" საინტერესოდ მოგვითხრობს მსოფლიოს მეცხრამეტე ჩემპიონატზე, იმაზე, თუ როგორ მოიპოვეს მესამედ ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ჟურნალისტის პირადი შთაბეჭდილებანი შეეხება აგრეთვე მექსიკის მდიდარ წარსულს, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის თანამედროვე ყოფასა და, რა თქმა უნდა, იმას, თუ როგორი ზეიმი გამართეს იმ დაუვიწყარ დღეებში სტუმართმოყვარე მასპინძლებმა.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.